F 171
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерство просвещения Грузинской ССР

**3**

მარტი

Контрольный экземпляр

თბილისი—1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VI-70 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,5

შეკ. 350. უე—10347 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11. უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете Министров Груз. ССР. ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F 3477

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 26 დეკემბრის ბრძანება № 734

### 1968—1969 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი და საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ უკანასკნელ წლებში განათლების დარგში სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებისა და სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სწავლების შინაარსის სრულყოფის, მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის გაუმჯობესების, საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლის, სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მათი თანამედროვე სასწავლო მოწყობილობებით აღჭურვის მიზნით.

სკოლების დიდ ნაწილში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სწავლა-აღზრდის საქმე. ამ სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სწავლის პროცესში უნარიანად იყენებენ ახალ ხერხებსა და მეთოდებს, თვალსაჩინოებას, სწავლების ახალ ტექნიკურ საშუალებებს, ლაბორატორიული და სხვა სახის პრაქტიკულ მუშაობას. მასობრივი, უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. გაძლიერდა ზრუნვა უმეთვალყურეო და უზედამხედველო ბავშვების მიმართ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მაღალი ზნეობრივი თვისებებით, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. სერიოზული ღონისძიებები გატარდა აგრეთვე მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ფორმალიზმისა

და ლიბერალიზმის დასაძლევად. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე, მათი დისციპლინის და პრაქტიკული საქმიანობისათვის მზადყოფნა.

რესპუბლიკაში ეფექტური ნაბიჯები გადაიდგა სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებისა და საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლისათვის.

1969 წლის 1 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 21.000 მოსწავლე ადგილი. ამავე პერიოდში რვაკლასდამთავრებულთა 82 პროცენტი სწავლას განაგრძობდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX კლასებში, 15 პროცენტი კი ტექნიკუმებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

აღსანიშნავია, რომ წლეულს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა უფრო მტკიცე ცოდნა გამოამჟღავნეს, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ ზოგიერთი კურსდამთავრებულის ცოდნაში გამოვლენილი ხარვეზები მეტად სერიოზული და დამაფიქრებელია. როგორც 1968—1969 სასწავლო წელს საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდებისა და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების შედეგებიც მოწმობს, ზოგიერთი სკოლა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რასაც მას სწრაფი ტექნიკური პროგრესი და საბჭოთა ხალხის მზარდი კულტურული დონე უყენებს, რადგან ამ სკოლების მოსწავლეთა წიგნიერებისა და საერთო კულტურის დონე დაბალია ხოლო სასწავლო დისციპლინებში მომზადება მტკიცე არ არის.

1969 სასწავლო წელს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე მისაღებ გამოცდებს 49,029 ახალგაზრდა აბარებდა, რომელთაგან დაახლოებით 85 პროცენტი 1968—1969 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული იყო. გამოცდები 17,943 კაცმა ჩააბარა. აქედან უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 4,181, ჩაიჭრა—31086. უმაღლეს სასწავლებლებში მათემატიკაში (ზეპირი) გამოცდას აბარებდა 16465 აბიტურიენტი, აქედან ჩაიჭრა—9173, წერაში გამოცდაზე დაშვებული 8565 აბიტურიენტიდან ჩაიჭრა—2528; ფიზიკაში 10,985-დან ჩაიჭრა 2505; ქიმია-

ში—7034-დან 1803; ისტორიაში 6298-დან 2852; ქართულ ენისა და ლიტერატურაში—წერაში—12587-დან 2825, ზეპირში—3565-დან 586; რუსულ ენასა და ლიტერატურაში—ზეპირში—851-დან—85, წერაში—2523-დან 561; ინგლისურ ენაში—1755-დან 395; გერმანულ ენაში—1124-დან 403; ფრანგულ ენაში 484 აბიტურიენტიდან ჩაიჭრა 212 და ა. შ. 1968—1969 სასწავლო წელს კურსდამთავრებულ მედალოსანთაგან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე დაბალი შეფასება მიიღო ხუთმა კურსდამთავრებულმა, 1967—1968 სასწავლო წელს დამთავრებულთაგან—10-მა, 1966—1967 სასწავლო წელს დამთავრებულთაგან 6-მა, 1965—1966 სასწავლო წელს დამთავრებულთაგან 26-მა, 1964—1965 სასწავლო წელს დამთავრებულთაგან—5-მა და ა. შ. სულ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნა 1960—1969 წლებში კურსდამთავრებულმა 61-მა მედალოსანმა.

როგორც ზემოთმოყვანილი მონაცემიდან ჩანს, რესპუბლიკის სკოლების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ჯეროვნად მომზადებას დაწესებული პროგრამების ფარგლებში. არც თუ იშვიათად, თვით მედალოსანი კურსდამთავრებულებიც კი ცოდნის მეტად დაბალ დონეს ამჟღავნებენ. მაგალითად, 1968—19ე9 სასწავლო წელს კურსდამთავრებულ მედალოსანთაგან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს: ფიზიკაში—თბილისის მე-4, 123-ე, ვანის კიროვის სახელობის სკოლებისა, ბიოლოგიაში—ცაგერის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა; 1967—1968 სასწავლო წელს კურსდამთავრებულ მედალოსანთაგან ფიზიკაში: თბილისის მე-5, ცხაკაიას მე-2, ცხინვალის მე-4, ზესტაფონის I-ლი სკოლების, ბიოლოგიაში—ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმეს, ხობის რაიონის ხეთის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა.

ერთიანი სისტემის არსებობის მიუხედავად, ბევრი სკოლა დღესდღეობით მოსწავლეთა ცოდნის დონის შეფასებას საფუძვლად ცოდნის აბსოლუტურ კრიტერიუმს კი არ უდებს, არამედ შეფარდების პრინციპს, რის გამოც ერთი სკოლის სამოსანი ან ოთხოსანი მოსწავლის ცოდნის დონე არსებითად განსხვავდება მეორე სკოლის ასეთივე ნიშნების მქონე მოსწავლის ცოდნისაგან, რაც ერთხელ კიდევ დადასტურდა 1968—1969 სასწავლო წელს საშუალო განათლების ატესტატის მისაღებ გამოცდებზე განათლების სამი-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნისტროს მუშაკების დასწრებითა და ლიტერატურასა და მათემატიკაში კურსდამთავრებულ მედალოსანთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების დეტალური შემოწმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შემოწმებამ ცხადყო ზოგიერთ სკოლაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში შექმნილი საგამოცდო კომისიები სათანადო პასუხისმგებლობით არ მოკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ლიბერალურად აფასებდნენ მოსწავლეთა ცოდნას, მოსწავლეებს დაუმსახურებლად უწერდნენ „5"-ს ისეთ ნაშრომებში, რომლებიც ასეთი შეფასების ღირსი არ არის. სხვადასხვა სახის მრავალი შეცდომაა ლანჩხუთის 1-ლი, ფოთის მე-2, მე-3, სოხუმის 1-ლი, მე-10, მე-17, მე-15, წალენჯიხის მე-2, ბათუმის მე-9, წულუკიძის მე-3, ქ. ზუგდიდის მე-3, მე-5, ზუგდიდის რაიონის ჩხორიის, კოკის, თელავის მე-3, წულუკიძის რაიონის ქუტირის, ტყიბულის მე-5, დაბა ორჯონიკიძის, ოჩამჩირის მე-2, ცხინვალის მე-6, ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლების მედალოსან კურსდამთავრებულთა საგამოცდო ნამუშევრებში. უპასუხისმგებლოდ არის გასწორებული სოხუმის მე-17, გაგრის რაიონის ხეივნის მე-2, წითელწყაროს ქართული, ლანჩხუთის მე-3, საგარეჯოს 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების კურსდამთავრებულ მედალოსანთა საგამოცდო წერითი ნამუშევრები მათემატიკაში.

განათლების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსური შემოწმების, 1968—1969 სასწავლო წელს საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდებისა და კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების შედეგების ანალიზი მოწმობს, რომ რესპუბლიკის სკოლებში განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მშობლიური ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ისტორიისა და უცხოური ენების სწავლებაში.

მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლების გარკვეული ნაწილი ცუდი თეორიული და მეთოდური მომზადების გამო, სათანადოდ ვერ ასწავლის ამ საგანს, ვერ აღვივებს სიყვარულსა და ინტერესს ენისა და ლიტერატურისადმი. მოსწავლეებში გამომუშავებული არ არის სწორი წერის ჩვევები, ლიტერატურული ნაწარმოების დედააზრში გარკვევის უნარი. წერის დაბალი კულტურისა და სუსტი ნაკითხობის გამო მოსწავლეებს არ შეუძლიათ წაკითხულისა და განცდილის წერილობით სწორად გადმოცემა.

ის გარემოებაც, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ისტორიის წერით გამოცდაზე დაშვებული 6298 აბიტურიენტიდან — 2825 ჩაიჭრა, რაც ძირითადად ჩვენს სკოლებში ამ საგნის სუსტი სწავლებით აიხსნება, ერთხელ კიდევ მიუთითებს სკოლაში ყველა საგნის წარმატებით სწავლების საფუძველთა საფუძვლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების სუსტად დაყენებაზე. მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტად ფლობს საგანს, სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებს, არ ეცნობა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, ვერ აიარაღებს მოსწავლეებს საფუძვლიანი ცოდნითა და და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებით.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიები ყოველწლიურად ათასობით მანეთის ხელსაწყო-იარაღებითა და სხვა სახის თვალსაჩინოებით მდიდრდება და რომ მათი გამოყენების გარეშე ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით საგნების მაღალ დონეზე სწავლება შეუძლებელია, ბევრ სკოლაში მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის გაკვეთილებზე სათანადო ყურადღება არ ექცევა პროგრამით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო ცდებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, პრაქტიკუმებსა და ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს. უნიკალური ხელსაწყო-იარაღები წლიდან წლამდე გამოუყენებელია და მოუვლელობის გამო ფუჭდება.

სადღეისოდ სკოლების დიდ უმრავლესობას აქვს უახლესი ტიპის კინოაპარატები, საპროექციო ფანრები, ეპიდიასკოპები, მაგნიტოფონები და სხვა ტექნიკური საშუალებები, მაგრამ ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანია. მაგალითად, არასაკმარისია იმ სკოლების რიცხვი, რომლებსაც სისტემატურად გააქვთ ფილმოტეკებიდან სასწავლო კინოფილმები, დიაფილმები და სწავლებაში იყენებენ გრამფირფიტებს, მაგნიტოფონის ჩანაწერებს და სხვა.

ვინაიდან ზოგიერთ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომითი პოლიტექნიკური სწავლების საბუნებისმეტყველო ციკლის საგნების სწავლებასთან დაკავშირებას, წრეობრივი მუშაობის გაუმჯობესებას, მოსწავლეებში წარმოებისა და სოფლის მეურნეობისადმი ინტერესის გაღვივებას, დიდი ხარვეზებით ხასიათდება პროფესიული ორიენტაციის მიზნით გაწეული მუშაობაც. მოსწავლეებს არ ეწევათ საჭირო დახმარება საკუთარი უნარის და მიდრეკილების მიხედვით მომავალი პროფესიის შერჩევის საქმეში, რის შედეგადაც რვაკლასდამთავრებულთა დიდი ნა-

წილი უარს ამბობს პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუ-მებში სწავლის გაგრძელებაზე.

ამრიგად, უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი და [illegible] განათლების მისაღები გამოცდების შედეგებმა ცხადყო, რომ სკოლების გარკვეული ნაწილის მუშაობაში დაბალ დონეზე დგას სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა და ფეხმოკიდებულია თვალისახვევისა და ლიბერალიზმის მავნე პრაქტიკა. ხშირ შემთხვევაში მასწავლებლები ნიშნებს ხელოვნურად ამაღლებენ, რაც ასუსტებს მოსწავლეთა მისწრაფებასა და პასუხისმგებლობას საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნის შეძენისადმი. ამის დამადასტურებელია აგრეთვე საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეთა ცოდნის დონეც, მართლაც სკოლის მიერ რეკომენდებული, ამა თუ იმ საგანში ნიშან „5“-ის მქონე მოსწავლე ოლიმპიადის რესპუბლიკურ ტურში ძალზე დაბალ შეფასებას იმსახურებს. მაგალითად, მშობლიური ლიტერატურის მეორე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე არადამაკმაყოფილებელი ნიშნები დაიმსახურეს თბილისის 84-ე, ბათუმის მე-15, მე-20, ქუთაისის მე-17, ტყიბულის მე-3, გორის მე-6, ზუგდიდის მე-5, ახალციხის მე-2, გარდაბნის რაიონის სართიჭალის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

ნორჩ მათემატიკოსთა მე-3 რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე სუსტი მომზადება გამოავლინეს სოხუმის მე-4, მე-6, მე-9, მე-10, მე-17, გულრიფშის რაიონის კელასურის, გაგრის რაიონის ხეივნის, ბათუმის მე-2, მახინჯაურის, ცხინვალის 1-ლი, მე-2, მე-4, ჯავის რაიონის კვაისის, ლენინგორის, ცხინვალის რ-ის ერედვის, ძარწმის, თბილისის მე-7, მე-10, 25-ე, 53-ე, 57-ე, 123-ე, 62-ე, 26-ე, 33-ე, 36-ე, ზესტაფონის მე-4, ზესტაფონის რ-ის არგვეთის, ლანჩხუთის მე-3, ლანჩხუთის რ-ის შუახეთის, მახარაძის მე-2, მახარაძის რუსული, მახარაძის რ-ის ნატანების, გურიანთის, გეგეჭკორის რ-ის დიდიჭყონის, ონის 1-ლი, თერჯოლის, ჩხარის, წალენჯიხის 1-ლი, საჩინოს, წულუკიძის 1-ლი, ჩოხატაურის რ-ის ჩაისუბნის, ჩხოროწყუს 1-ლი, ახალქალაქის რუსული, 1-ლი და მე-2 სომხური, კულიკამის, დილისკას, ახალციხის მე-4, ბოგდანოვკის რ-ის დ/გორელოვკის, ბოგდანოვკის რუსული, დმანისის რუსული, სიღნაღის რ-ის ბოდბის, მარნეულის, წალკის 1-ლი, წითელწყაროს რ-ის ჯაფარიძის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. მათ არ იციან მაჩვენებლიანი, ლოგარითმული განტოლებებისა და უტოლობათა ამოხსნა. ტრიგონომეტრიიდან—დაყვანის, ჯამისა და სხვაობის ნამრავლად გადაქცევის ფორმულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ ფიზიკოსთა 22-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში ცოდნის დაბალი დონე გამოავლინეს თბილისის 36-ე, 33-ე, 30-ე, 22-ე, ქუთაისის მე-9, მე-14, ცხინვალის მე-6, გარდაბნის მე-2, სამგორის, წალკის რ-ნის ავრალის, სოხუმის მე-10, მე-12, სოხუმის რ-ის კელასურის, ბათუმის რ-ის მახოს, ქობულეთის მე-2, ასპინძის რ-ის დამალოს, საჩხერის რ-ის მერჯევის, ზესტაფონის მე-3, ცხაკაიას 1-ლი, სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

ნორჩ ქიმიკოსთა 22-ე რესპუბლიკურ დასკვნით ტურში დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს თბილისის მე-60, 133-ე, თერჯოლის, ყვარლის რ-ის ჭიკაანის, ცხინვალის მე-2, ზნაურის, სოხუმის 1-ლი, მე-5, მე-6, გალის მე-3, ტყვარჩელის მე-2, ლაგოდეხის რუსული, ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

კოლეგიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები არის ძირითადად მიზეზი იმისა, რომ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საქმეში არსებითი ნაკლოვანებებია. ეს, უპირველესად, ეხება პირველ კლასში მიღებული კონტინგენტის მერვე კლასამდე შენარჩუნების საკითხს: რესპუბლიკის სკოლებში 1960—1961 სასწავლო წელს პირველ კლასში მიღებული 89,647 მოსწავლიდან 1968/1969 სასწავლო წელს რვა კლასი დაამთავრა 70.845 ანუ პირველ კლასში ჩარიცხულთა მხოლოდ 79%-მა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ყაზბეგის რაიონში, სადაც რვა კლასი დაამთავრა პირველ კლასში მიღებულთა თითქმის 50%-მა, მარნეულის რაიონში—59,6, ახმეტის რაიონში—66,5, დმანისის რაიონში—66,2, ბოლნისის რ-ში 67,8%-მა, გარდაბნის რ-ში — 67,9%-მა, ლაგოდეხის რ-ში — 68,8%-მა, ლენტეხის რ-ში—66,4%-მა, წალკის რ-ში—67,9%-მა, წითელწყაროს რ-ში— 68,5%-მა და ა. შ.

სკოლების ერთ ნაწილში სწავლა ჯერ კიდევ ვერ გასცილებია ზეპირობის დონეს, რაც მეორეწლიანობისა და მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორების მიზეზია. გასულ სასწავლო წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 776.713 მოსწავლიდან იმავე კლასებში დატოვებული იქნა 5,01%. მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდია აფხაზეთის ასსრ-ში—6,9%, აჭარის ასსრ-ში—5,8, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—5,0%, ქ. ფოთში—6,3%, ჭიათურაში—6,8%, ასპინძის რაიონში—6,0%, ახმეტის—6,5%, დუშეთის—6,2%, ყაზბეგის—6,06%, ლენტეხის—6,1%, მარნეულის—5,0%,



ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძის—7,5%, მცხეთის—6,8%, ონის—6.7%, ორჯონიკიძის—6,2%, საგარეჯოს—5,2%, თეთრიწყაროს—6,6%, თიანეთის—7,3%, წალენჯიხის—5,4%, წალკის—5,4%, წითელწყაროს—4,0%, ჩოხატაურის—5,7% და სხვ.

ბიბლიოთეკა

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისის მდგომარეობით მეორეწლიან მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა აღარ დაბრუნებია სკოლებს და არც სხვა სასწავლო დაწესებულებებში აგრძელებს სწავლას, მაგალითად, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I—VIII კლასებში 5 სექტემბრის მონაცემებით არ გამოცხადებულა 6.129 მეორეწლიანი მოსწავლე, აქედან აფხაზეთში—817, აჭარაში 242, ქ. თბილისში—561, ახალქალაქში—79, ბორჯომში—105, გარდაბანში—120, მარნეულში—152, მახარაძეში—99, საგარეჯოში—92, თეთრწყაროში—92, ორჯონიკიძეში—59, წალკაში—62, ჩოხატაურში—47 მეორეწლიანი მოსწავლე.

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის რადიკალურად გაუმჯობესების, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განუხრელად განხორციელებისა და მეორეწლიანობის მკვეთრად შემცირების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) 1970 წლის პირველ დეკადაში ადგილობრივ საბჭოებთან ერთად საფუძვლიანად შეისწავლონ საყოველთაო განათლების განხორციელების მდგომარეობა რაიონში, ქალაქში, ეს საკითხი განსახილველად შეიტანონ რაიონულ, საქალაქო საბჭოებში და არაუგვიანეს 1 თებერვლისა განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ კონკრეტული ანგარიში მათ მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ, მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულების, სკოლიდან ჩამოცილებული ბავშვების სწავლებაში ჩაბმის შესახებ აუცილებელი ცნობების თანდართვით;

ბ) შექმნან სკოლებში საიმისო პირობები, რომ ყოველი მასწავლებელი სისტემატურად მუშაობდეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ეცნობოდეს ყველა მნიშვნელოვან სიახლეს საკუთარ სპეციალობაში, სისტემატურად კითხულობდეს მეთოდურ და მეცნიერულ ლიტერატურას, მაღალ დონეზე ატარებდეს გაკვეთილებს, მიაღწიოს მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამების მთლიან და მაღალხარისხოვან ათვისებას, მოაგვაროს აკადემიურად ჩამორჩე-

ნილი მოსწავლეებისადმი დახმარება, მათთან ინდივიდუალური მუშაობის სახით;

გ) სამაგალითოდ დააყენონ კაბინეტების, ლაბორატორიების, სახელოსნოების იარაღ-მოწყობილობის მოვლა-დაცვის საკითხს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა დანერგვას. სადაც შესაძლებელია, გადადგან ნაბიჯები სკოლებში ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტების მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაატარონ ქმედითი ღონისძიებები, რათა სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლებისას, სოფლის მეურნეობაში მოსწავლეთა საცდელი მუშაობის სანიმუშო ლაბორატორიებად იქცეს;

დ) ყურადღების ცენტრში დააყენონ დედაენისა და ლიტერატურის სწავლება, მთავარ ამოცანად დასახონ მოსწავლეებში სწორმეტყველებისა და სწორი წერის ჩვევების დანერგვა და დამოუკიდებელი აზროვნების, დამოუკიდებელი წერის უნარ-ჩვევების გამომუშავება:

ე) რადიკალურად გააუმჯობესონ მათემატიკური დისციპლინების სწავლება. პროგრამით დაწესებული მასალის მწყობრად, გასაგებად, თვალსაჩინოდ გადაცემასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სისტემატურ ვარჯიშს სათანადო სიძნელის ამოცანებსა და მაგალითებზე.

ბუნებათმეცნიერული საგნების ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სწავლებისას ყურადღების ცენტრში დააყენონ კურსის თეორიული დებულებების მჭიდროდ დაკავშირება სავალდებულო პრაქტიკულ ვარჯიშთან, ლაბორატორიულ მუშაობასთან. რეგულარულად ჩაატარონ საკონტროლო წერები;

ვ) ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, გეოგრაფიის სწავლებისას ფაქტებისა და მოვლენების შესწავლასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ შესწავლილი მასალის განზოგადებას, ისტორიული მოვლენებისა და გეოგრაფიული ფაქტორების როლისა და ადგილის სწორად განსაზღვრას, მოსწავლეებში მწყობრი მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავებას. სისტემატურად მოაწყონ წერითი სავარჯიშო სამუშაოები, რათა მოსწავლეებს შესწავლილი მასალის წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევები გამოუმუშავდეთ;

ზ) მასწავლებელთა იანვრის თათბირებზე, განათლების სამინისტროების კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ აღნიშნული ბრძანება და სათანადო სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში დასახელებულ სუსტად მომუშავე სკოლების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს;

თ) განსაკუთრებით მე-9-10 კლასებში სისტემატურად ჩაატარონ საკონტროლო წერები მშობლიურ ლიტერატურასა და მათემატიკაში და შედეგი განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე;

ი) დასახელებულ სკოლებში შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა; ქმედითი ღონისძიებები დასახონ მოსწავლეთა მომზადების დონის არსებითად გაუმჯობესებისათვის, მათი ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღმოფხვრისათვის.

2. გაათავისუფლონ სათანადო წესის დაცვით ან გადაიყვანონ დაბალ სამუშაოზე ის მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებას.

3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახონ სათანადო ღონისძიებები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

4. სკოლების სამმართველომ (ამ. ჩხიკვაძე) საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდების პერიოდში, ბრძანებაში აღნიშნულ რაიონებში მიავლინოს სასკოლო ინსპექტორები გამოცდების მიმდინარეობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის დასაწესებლად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1969 წელი, 30 დეკემბერი

**1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ 1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის დროულად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის, გასულ სასწავლო წელთან შედარებით მიმდინარე სასწავლო წელს I—X კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტი გაიზარდა 45.648 მოსწავლით. სკოლებში დაბრუნებული იქნა 7—15 წლის ასაკის 1.558 ბავშვი, რომლებიც წინა წლებში ჩამოშორდნენ სწავლას.

რესპუბლიკის მშრომელებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს სკოლებს მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, წარმოება-დაწესებულებებმა და საშეფო ორგანიზაციებმა თავიანთი ინიციატივით, სახსრებითა და მასალებით 67 სკოლას მიაშენეს 297 საკლასო ოთახი 6.601 მოს-

წავლე ადგილით. შეავსეს კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები და სასწავლო-სახელოსნოები საჭირო მოწყობილობებით და სხვა თვალსაჩინო მასალებით.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. თბილისის, ქ. ჭიათურის, გორის, ქობულეთის, ზუგდიდის, ლაგოდეხის რაიონებმა.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მოემზადნენ გეგეჭკორის, ბათუმის, მცხეთის, თელავის, გალის რაიონები.

ამასთანავე აღსანიშნავია რიგი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. მიუხედავად შეხსენებისა, განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს მასალები არ გამოუგზავნეს ქალაქებმა: სოხუმმა, ფოთმა, რუსთავმა და აბაშის, ასპინძის, ბოგდანოვკის, კასპის, ყვარლის, მაიაკოვსკის, მესტიის, ონის, სამტრედიის, გაგრის, ჯავის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ

1. 1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლების და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები დარჩეს ქ. თბილისსა და გორის რაიონს.

ქ. თბილისს და გორის რაიონს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, განათლების სამინისტროს ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოთ 1500—1500 მანეთი თვითეულს სასკოლო ინვენტარის და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობის შესაძენად.

2. 1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლების და სხვა საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები გადაეცეთ ქ. ჭიათურას, ქობულეთისა და ლაგოდეხის რაიონებს, ხოლო დარჩეს ზუგდიდის რაიონს.

2. ჭიათურას, ლაგოდეხის, ზუგდიდის და ქობულეთის რაიონებს, რომლებმაც გამოიჩინეს თავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოთ 1000-1000 მანეთი თვითეულს სასწავლო ინვენტარის და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობის შესაძენად.

3. 1969-1970 სასწავლო წლისათვის სკოლების და სხვა საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქების სიგელით (სიის მიხედვით).

4. მკაცრად გაფრთხილებული იქნენ ქალაქების: სოხუმის, ფოთის, რუსთავის და აბაშის, ასპინძის, ბოგდანოვკის, კასპის, ყვარლის, მაიაკოვსკის, მესტიის, ონის, სამტრედიის, გაგრის, ჯავის, ზნაურის, ლენინგორის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები, რომლებმაც არ წარმოუდგინეს მასალები განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონულ, საქალაქო და ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეებს:

ა) ამთავითვე გაშალონ რაიონებსა და ქალაქებს, სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ახალი, 1970—1971 სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადებისათვის.

ბ) 1970 წლის 1 ოქტომბრამდე შეაჯამონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა. შესრულება და შედეგები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
**თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **დ. იოსელიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 31 დეკემბრის ბრძანება № 760

### რესპუბლიკაში ტურიზმისა და ექსკურსიების შემდგომი განვითარების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილების განხორციელების შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებას—„რესპუბლიკაში ტურიზმისა და ექსკურსიების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში ტურიზმმა და ექსკურსიებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს. ტურიზმი და ექსკურსიები ხდება დასვენების აქტიურ ფორმად, მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების დიდმნიშვნელოვან საშუალებად და ხელს უწყობს მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას.

გაფართოვდა ტურიზმის მატერიალური ბაზა, ტურისტული ბაზა-სასტუმროების საწოლების ფონდი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 1.600 ადგილით გადიდდა. შემუშავებულია ახალი მარშრუტები ისეთ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, ისტორიისა და კულტურის ძეგლებთან, მშობლიური მხარის ბუნებასთან, საბჭოთა ხალხის მიღწევებთან ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ტურისტულ მოგზაურობასა და ექსკურსიებში 1968 წელს მონაწილეობა მიიღო 2 მილიონ 700 ათასზე მეტმა კაცმა, ტურისტულმა ბაზებმა მომსახურება გაუწიეს 260 ათას კაცს.

ამასთან ერთად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში არ არის გამოყენებული ტურიზმის ფართო განვითარების მდიდარი შესაძლებლობანი, სუსტად კმაყოფილდება მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გაზრდილი მოთხოვნილებანი ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურებაზე.

ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მეტად დაბალია ტურისტული ობიექტების მშენებლობის ტემპი. მშენებლობის გეგმა წლითიწლობით მხოლოდ 40—50 პროცენტით სრულდება.

1965—1969 წლებში აუთვისებელმა კაპიტალდაბანდებათა თანხამ, მარტო ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ხაზით, 2 მილიონ მანეთს მიაღწია.

ტურიზმისა და ექსკურსიების მიზნით განსაკუთრებით სუსტად არის გამოყენებული მთაგორიანი რაიონები, სადაც ტურიზმისათვის არსებობს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები; ფშავ-ხევსურეთი, მთათუშეთი, ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამხრეთ ოსეთი და სხვ. სათანადოდ არ განვითარებულა ტურისტული ინვენტარისა და საჭურვლის გასაქირავებელი პუნქტების ქსელი. სათანადო დონეზე არ დგას ავტომოტოტურისტთა მომსახურება. რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე ცოტაა კემპინგები, ავტოპანსიონატები, ტექნიკური და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები. ნაკლოვანებანი ახასიათებს კვალიფიციური ტურისტულ-საექსკურსიო კადრების შერჩევისა და მომზადების საქმეს.

ზოგიერთი პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია საკმაოდ ვერ სწვდება ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებების საქმიანობას, არ უყენებს მათ სათანადო მომთხოვნელობას იმ მხრივ, რომ გააძლიერონ ამ ღონისძიებათა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მიმართულება, აამაღლონ ტურისტული ლაშქრობების, მოგზაურობისა და ექსკურსიების შემეცნებითი ღირებულება. ნაკლები ყურადღება ექცევა ტურისტთა და ექსკურსანტთა მომსახურების კულტურის ამაღლებას, ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვისადმი მზრუნველობით მოპყრობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა
F 3477
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ტურიზმის, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი საშუალების გამოყენებას.

„ჩვენს ქვეყანაში ტურიზმისა და ექსკურსიების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კპ პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა და საოლქო საბჭოებმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მიიღონ ზომები, რათა მასობრივად განვითარდეს ტურიზმი და ექსკურსიები მშრომელთა და მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის, გაფართოვდეს ტურისტულ და საექსკურსიო დაწესებულებათა ქსელი და გაუმჯობესდეს მათი საქმიანობა. გაუმჯობესდეს ამ ორგანიზაციებისათვის კადრების შერჩევა, მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება, გადაიქცეს ტურისტულ-საექსკურსიო საქმე მოსახლეობის მომსახურების დიდ დარგად.

ამ მიზნით, დახმარება გაუწიონ ტურიზმის საბჭოებს, იმ მხრივ, რომ მოაწყონ ტურისტთა საქალაქო და რაიონული კლუბები, რომლებიც მოწოდებულნი არიან გახდნენ ტურისტული სექციებისადმი ხელმძღვანელობის მეთოდური ცენტრები, რომლებიც შეიქმნება სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

2. წინადადება მიეცეს რესპუბლიკის პროფკავშირულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს:

—შექმნან დასვენების საგარეუბნო ზონები, ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები, მებადურისა და მონადირის სახლები, ისეთ ადგილებში, რომლებიც უფრო ხელსაყრელია დასვენებისა და ტურიზმისათვის, წყალსატევების, მდინარეების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების მახლობლად, ამასთან გამოიყენონ ამისათვის დადგენილი წესით სამეურნეო, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების საშუალებანი;

—ფართოდ განავითარონ ტურისტული ინვენტარისა და სუჭურვლის გასაქირავებელი პუნქტები და მათი კოლექტიური სარგებლობის ბაზები საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და დასვენების საგარეუბნო ზონებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მოაწყონ და ფართო პროპაგანდა გაუწიონ ტურისტული ლაშქრობების, მოგზაურობისა და ექსკურსიების მარშრუტებს დასვენების დღეებში, არდადეგებისა და შვებულების დროს, ჩააბან ამ საქმეში მშრომელთა ფართო მასები და მათი ოჯახის წევრები, მოსწავლე-ახალგაზრდობა;

—აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ ტურისტებსა და ექსკურსანტებს ბუნებრივ სიმდიდრეთა, ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა სხვა ღირსშესანიშნაობათა დაცვის საქმეში.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ტურიზმის ობიექტების მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და დაწესებული გეგმების უცილობლივ შესრულებისათვის.

ამ ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობის შესახებ მოხსენდეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს 1970 წლის 1 მაისისათვის.

საქართველოს კპ რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დახმარება გაუწიონ სამშენებლო ორგანიზაციებს, რათა უზრუნველყონ ტურიზმის ობიექტების მშენებლობანი მუშა-ხელით.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნან ტურიზმის ობიექტების მშენებლობანი ავტოტრანსპორტით.

5. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გააუმჯობესონ საექსკურსიო მუშაობა მუზეუმებში, სურათების გალერეებში, სამხატვრო გამოფენებზე და სხვ. მიიღონ ზომები მათი წესრიგში მოყვანისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის, ექსპოზიციის გაუმჯობესებისათვის, კვალიფიციური ექსკურსმძღოლებით განმტკიცებისათვის, სამუზეუმო და საგამოფენო მეგზურებისა და ცნობარების გამოშვების გადიდებისათვის, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნან ტურისტები თეატრებისა და სხვა სანახაობითი წარმოდგენების ბილეთებით.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიერონ მოსწავლეთა შორის ტურისტული და მხარეთმცოდნეობითი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა, გააფართოონ ბავშვთა ტურისტულ-საექსკურსიო სადგურების ქსელი.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ ჩაატაროს იმ ტერიტორიების კეთილმოწყობა, რომლებიც მასობრივი ტურიზმისათვის გახსნილ ნაკრძალებს ეკვრიან, წესრიგში მოიყვანოს ბილიკები, ნიშანი დაადოს დათვალიერების მარშრუტებს.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები, რომ მომზადებულ იქნან ტურიზმის მომსახურებისათვის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, მოეწყოს აღნიშნულ სპეციალისტთა მოსამზადებელი კურსები უმაღლესი ისტორიული და ფილოლოგიური განათლების ბაზაზე, შეიქმნას ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე სპეციალური ჯგუფი სასწავლო გეგმების, სალექციო კურსის პროგრამების შესახებ შესამუშავებლად, იმ სტუდენტებისა და მსმენელებისათვის, რომლებიც ტურისტულ გეოგრაფიაში სპეციალდებიან.

9, მიღებულ იქნეს საქართველოს პროფსაბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ აშენდეს 11.250-ადგილიანი ტურისტული ბაზები, სასტუმროები, კემპინგები და ავტო-პანსიონატები. ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებათა მშენებლობა განხორციელდეს ძირითადად ტურისტული და პროფკავშირული ორგანიზაციების სახსრების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის და სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული დაფინანსების სხვა ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, რომლებიც შეიძლება წარიმართოს ამ მიზნისათვის დადგენილი წესით, აგრეთვე სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის სესხთა ხარჯზე.

10. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

—დადგენილი წესით გამოჰყონ მიწის ნაკვეთები ტურისტული ბაზების, სასტუმროების, კემპინგების, ავტო-პანსიონატების, საბაგირო გზების; სტაციონარული და კარვებიანი ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბაზების მშენებლობისათვის (განაშენიანების სანიტარული ნორმების დაცვით)—მწვანე მასივებისა და წყალსატევების მახლობლად მდებარე ადგილებში, აგრეთვე შეძლებისამებრ მოხერხებულ მისასვლელ გზებიან და საინჟინრო კომუნიკაციებით უზრუნველყოფილ ადგილებში;

—გამოჰყონ სადგომები რაიონული და საქალაქო ტურისტული კლუბებისათვის, ტურისტული გასაქირავებელი პუნქტებისათვის, სამოგზაურო და საექსკურსიო ბიუროებისათვის, ტურიზმის საბჭოებისათვის;

—გამოჰყონ ადგილები სასტუმროებში ტურისტებისა და ექსკურსანტების დასაბინავებლად;

—გამოჰყონ სადგომები მოსწავლეთა ტურისტული ჯგუფების მისაღებად გამოსასვლელ დღეებში, აგრეთვე სასკოლო არდადეგების პერიოდში;

—გააუმჯობესონ ტურისტთა და დამსვენებელთა საზოგადოებრივი კვება საგარეუბნო ზონებში და ტურისტული საქონლით ვაჭრობა.

11. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილოს საკითხი, რომ გამოეყოს ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოს მიწის ნაკვეთები 1.000 ადგილიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისათვის, 200 ავტომანქანის გარაჟისა და ტურიზმის საქართველოს საბჭოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ბაზის მშენებლობისათვის ნავთლუღის რაიონში, აგრეთვე ტურისტული ორგანიზაციების მუშაკთა ასბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

12. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ გამოუყოს 1969 წელს ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოს სოფელ ბობოყვათის რაიონში 20 ჰექტარი ნაკვეთი 2.500-ადგილიანი ტურისტული კომპლექსის მშენებლობის განსახორციელებლად.

13. საქართველოს სსრ სახმშენმა განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი, რომ შეიქმნას 1970 წელს საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენპროექტში“ სპეციალიზებული არქიტექტურულ-საპროექტო სახელოსნო ტურიზმის ობიექტების საპროექტო-სახარჯთ-აღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გაადიდოს იმ ავტობუსების რაოდენობა, რომლებიც რესპუბლიკის ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციებს გამოეყოფათ ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, გუდაუთისა და ბათუმის ავტოსატრანსპორტო კანტორებთან, შექმნას სპეციალიზებული ავტოკოლონები თვითეული 10 ერთეულის რაოდენობით დასასვენებელ დღეებში გამოსაყენებლად; აუკრძალოს ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებს ავტომანქანების გაცემა და ექსპლუატაცია ტურისტული მიზნებისათვის ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციების ნებართვაურთველად.

15. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დაამთავროს მიმდინარე წელს ჩაქვის, კელასურისა და გაგრის სადგურებში ტურისტულ-საექსკურსიო მატარებლების ხანგრძლივ გასაჩერებელი პუნქტების მშენებლობა, ხგრეთვე გაითვალისწინოს 1971 წლის გეგმით ადგილობრივი ტურისტულ-საექსკურსიო მატარებლების გასაჩერებელი ადგილის დაპროექტება, ხოლო 1972 წლის გეგმით— მისი მშენებლობა.

თბილისის სამგზავრო სადგურში ახალი ვაგზლის მშენებლობისას გაითვალისწინოს ტურისტულ-საექსკურსიო შემადგენლობათა გასაჩერებელი ადგილების მშენებლობა.

16. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ უზრუნველყოს ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს განაცხადებით ადგილების გამოყოფა თვითმფრინავებში არსებული რეისების მიხედვით.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ უზრუნველყოს ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებითა და სხვა საჭირო მოწყობილობით ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ავტომეურნეობები, რომლებიც მომსახურებას უწევენ საკავშირო და ადგილობრივი მარშრუტებით მიმავალ ტურისტებს.

18. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირმა და

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველომ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ტექნიკური მომსახურების სადგურების, ავტოგასაწყობი სადგურების რაოდენობის გადიდება რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე, მათი უზრუნველყოფა სარემონტო და ტექნოლოგიური მოწყობილობით, სათადარიგო ნაწილებით, საწვავ-საცხები მასალებით, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოების ქსელის გაფართოება და მათი მუშაობის გაუმჯობესება ავტომოტოტურისტთა მომსახურებისათვის.

19. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გააუმჯობესოს ტურისტული საქონლის ვაჭრობა, მათ შორის მოსწავლეებისათვის, რისთვისაც შექმნას სპეციალიზებული მაღაზიები „ტურისტი", აგრეთვე მოაწყოს ტურისტული ბაზების მომარაგება კვების პროდუქტებით; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათ შეუფერხებელ მომარაგებას ახალი ბოსტნეულით, ხილითა და რძის პროდუქტებით.

20. ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ:

—პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად შეიმუშაოს და მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს დასასვენებელი ზონების განლაგების და ამ მიზნებისათვის ნაანგარიშევი საწოლების საჭირო რაოდენობის საერთო გეგმა;

—უზრუნველყოს ტურისტთა და ექსკურსანტთა სანიმუშო მომსახურება, გააუმჯობესოს კულტურულ-მასობრივი მუშაობა ტურისტულ ბაზებში და მარშრუტებზე, მოაწყოს კვება და უზრუნველყოს მისი მაღალი ხარისხი;

—განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტთა და ექსკურსანტთა უსაფრთხოებას მარშრუტებზე.

—გააძლიეროს ხელმძღვანელობა სამოგზაურო და საექსკურსიო ბიუროების მუშაობისადმი, გააფართოოს მათი კავშირურთიერთობა საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროფკავშირთა ადგილობრივ კომიტეტებთან; მუდმივ აუმჯობესოს მეთოდური მუშაობა ექსკურსმძღოლებს შორის; გააფართოოს ექსკურსიების თემატიკა;

—განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტულ-საექსკურსიო კადრების შერჩევის, გა-

ნაწილებისა და აღზრდის ძირეულად გაუმჯობესებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და პასუხისმგებლობის გაძლიერებას მინდობილი საქმისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს შეკვეთით სამუზეუმო და საგამოფენო მეგზურები, საექსკურსიო და ტურისტული თემატიკის ლიტერატურა, პლაკატები, ღია ბარათები და ბუკლეტები.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაონ ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად და განახორციელონ ღონისძიებანი ტურისტულ-საექსკურსიო თემებზე დოკუმენტური და სატელევიზიო ფილმების გამოშვებისათვის, ფართო პროპაგანდა გაუწიონ ტურიზმსა და ექსკურსიებს რადიოთი და ტელევიზიით.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი |
| პ. როდიონოვი | გ. ჯავახიშვილი | ვ. ლოლობერიძე |

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ქმედითი ღონისძიებანი დასახონ მოსწავლეთა შორის ტურიზმისა და ექსკურსიების მასობრივი განვითარებისათვის. ფართოდ ჩააბან მოსწავლეები ბუნების, ისტორიული ადგილებისა და კულ-

ტურულ ფასეულობათა დაცვაში. მიაღწიონ იმას, რომ თითოეული ქალაქის, რაიონის სკოლები სისტემატურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო ხასიათის ტურისტულ ღონისძიებებში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზების ქსელის გაფართოებას და მათი მატერიალური ბაზის გაუმჯობესების საქმეს;

ბ) განათლების განყოფილებებთან შექმნან ტურიზმისა და ექსკურსიების ხელშემწყობი საბჭოები. აქტიურად ჩააბან ამ საქმიანობაში ფართო საზოგადოებრიობა. საბჭოს თავმჯდომარეებად შეარჩიონ მხარის კარგად მცოდნე, რაიონულ ცენტრში (ქალაქში) მცხოვრები მოწინავე პედაგოგები, რომლებსაც აქვთ საამისო გამოცდილება და შესწევთ უნარი რაიონის (ქალაქის) მასშტაბებით გაშალონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ პიონერ-მოსწავლეთა შორის საექსკურსიო-ტურისტულ მუშაობას;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიან და საშუალო სკოლებთან, სადაც დღემდე არ არის შექმნილი ტურიზმის სექციები, შექმნან ასეთები და ტურიზმის ორგანიზატორებად შეარჩიონ მოწინავე მასწავლებლები, რომლებიც კარგად არიან დაუფლებულნი ტურიზმს, აქვთ ბავშვებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება და შესწევთ უნარი აქტიურად უხელმძღვანელონ სკოლების საექსკურსიო-ტურისტულ სექციებს;

დ) მიაღწიონ იმას, რომ ყველა სკოლა და სკოლისგარეშე დაწესებულება უზრუნველყოფილი იყოს აუცილებელი ტურისტული ინვენტარითა და საჭურვლით, შეძენილ იქნას პატარა კარვები, არანაკლებ 5—6 ცალისა (ერთი ნორმალური ტურისტული ჯგუფისათვის) და მხარეთმცოდნეობითი მუშაობისათვის საჭირო სასწავლო ინვენტარი;

ე) მიაღწიონ იმას, რომ ქალაქების, რაიონული ცენტრების ერთ-ერთ სკოლა-ინტერნატში უქმე დღეებსა და არდადეგების პერიოდში ნორჩ ტურისტთა ღამის გასათევად გამოჰყონ სათანადო ფართის საძინებელი ოთახები და უზრუნველყონ ისინი კულტურული დასვენებისათვის საჭირო პირობებით;

ვ) სეზონური ბავშვთა ტურბაზები გარდაქმნან მუდმივმოქმედ ბავშვთა ტურბაზებად (თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, ფოთში, თელავში და გორში);

ზ) ზაფხულის არდადეგების პერიოდში ახალციხის და მესტიის სკოლა-ინტერნატების ბაზაზე შექმნან ბავშვთა ტურბაზები სათანადო შტატით.

2. დაევალოს სახელმძღვანელოების განყოფილებას (ამხ. [illegible]მალაძე) და ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურს (მ. ერისთავი) გამოსაცემად მოამზადოს ნორჩ ფენოლოგთა მხატვრული ალბომები.

3. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ სახელწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე 1,0 ტონა ოვსეტის ქაღალდის გამოყოფის შესახებ—ნორჩ ფენოლოგთა ნამუშევრების მხატვრული ჟურნალების დასასტამბავად.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურთან ერთად (ამხ. მ. ერისთავი) კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილეებისა და ტურიზმის ორგანიზატორებისათვის მოაწყონ მოკლევადიანი კურსები.

4. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) რესპუბლიკის 8-წლიანი და საშუალო სკოლები, სკოლისგარეშე დაწესებულებები, პიონერთა სახლები და ტურისტული ბაზები უზრუნველყოს კარვებით და ველზე მხარეთმცოდნეობითი მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 15 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურს 1970 წ. 1-ლი იანვრიდან დამატებით გამოუყოს დირექტორის მოადგილის საშტატო ერთეული მეთოდურ ნაწილში;

ბ) ბიუჯეტის პროექტის შედგენისას 1971 წლის იანვრიდან ტურისტული სადგურის საჭიროებისათვის დამატებით გაითვალისწინოს სახსრები მუდმივმოქმედი ბაზების შექმნისა და რესპუბლიკური ხასიათის ტურისტული ღონისძიებების ჩასატარებლად.

6. რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა შორის ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის განვითარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) დააწესოს ზე-თვალყურეობა ამ ბრძანების შესრულებაზე.

ეროვნული

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 18 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უ. ოზოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 26 დეკემბრის ბრძანება № 730

### ახმეტის, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონატის, მეურვეობისა და მზრუნველობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ ახმეტის, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებებს (გამგეები ამხ. ამხ. ს. ს. სალაძე, ტ. ბეგიაშვილი, დ. ლაფაჩიშვილი) უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონატის, მეურვეობისა და მზრუნველობის მოწესრიგების საქმეში გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

აღნიშნულ რაიონებს 1968, 1969 წლების მანძილზე დასახლებულ პუნქტებსა და საბავშვო დაწესებულებებში (ინტერნატები, საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები) აღრიცხული არ ჰყავდათ უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და მოზარდები. ლაგოდეხის რაიონის ერეთის კარისა და ნინიგორის, ყვარლის რაიონის ახალსოფლის, ახმეტის რაიონის ზემო ალვანისა და ქ. ლაგოდეხის სკოლების მიკრორაიონებში შემოწმებისას საკმაო რაოდენობით გამოვლინდა აღრიცხვის გარეშე უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვები.

1968, 1969 წლებში ახმეტის, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებებს სამუშაო გეგმებში არ შეუტანიათ, არ შეუმოწმებიათ და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე არცერთხელ არ უმსჯელიათ უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა შორის მუშაობის საკითხებზე.

განათლების განყოფილებები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლვბი ყურადღებას არ აქცევენ პატრონირებულ, გაშვილებულ, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების საყოფა-

ცხოვრებო პირობების შესწავლას, სწავლა-აღზრდის მდგომარეობას და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საკითხების სათანადო ორგანოებში დასმას.

ეროვნული

ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საშუალო სკოლის (დირექტორი შ. შანქიშვილი) მიკროუბანში ცხოვრობენ უდედმამოდ დარჩენილი VII კლასის მოსწავლეები ვ. ბ. ბაბოშვილი და ნ. რ. აშაძე. ვ. ბაბოშვილი ცხოვრობს მოხუც ბებიასთან, სძინავს ნესტიან ოთახში და ჩამორჩება სწავლაში. 1-ლ მეოთხედში მას მიღებული აქვს 6 ორიანი. მოსწავლე ნ. ა. აშაძეს არ ჰყავს დედა, მამა გაიქცა სტავროპოლის მხარეში, ცხოვრობს სიძის ოჯახში. სკოლის დირექციას არცერთხელ შეუმოწმებია აღნიშნული მოსწავლეების ცხოვრების პირობები.

რიგ შემთხვევაში დარღვეულია ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები. მცირეწლოვანი ლუდმილა ლევანის ასული აბრამოვა, მცხოვრები ქ. თბილისის ხეთაგუროვის ქ. № 71-ში, ინსტრუქციის მე-16 მუხლის შესაბამისად უნდა გაეშვილებია ქ. თბილისის ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომს და რეგისტრაციაში გაეტარებია ამავე რაიონის მმაჩის ბიუროს, ფაქტიურად ბავშვი გააშვილა ყვარლის აღმასკომმა და მიშვილება რეგისტრაციაში გაატარა ამავე რაიონის მმაჩის ბიურომ. 1968 წელში ამავე აღმასკომის მიერ მ. გ. მაზანაშვილი მიშვილებულია მამიდაზე. შვილებული ვერ შეეგუა მშვილებელს, წავიდა ოჯახიდან, მაგრამ საკითხი არ გამხდარა ადგილობრივი სახალხო სასამართლოს მსჯელობის საგანი, არაა გაუქმებული აღმასკომის გადაწყვეტილება გაშვილების შესახებ, რითაც დარღვეულია ინსტრუქციის 25-ე მუხლი.

ყურადღება არ ექცევა ფორმა № 103-ის სწორად შევსებას და ყოველი წლის დამლევს განათლების სამინისტროში დროულად წარმოდგენას. 1968 წლის 1-ლი იანვრისათვის ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილების მიერ გამოგზავნილ ფორმა № 103-ში ნაჩვენები არ იყო შვილად აყვანის შესახებ არავითარი ცნობა, მაშინ, როდესაც რაიონში გაშვილებული აღმოჩნდა 8 ბავშვი.

განათლების განყოფილებებს შემოღებული არა აქვთ ასეთი ბავშვების აღსარიცხავად სპეციალური ჟურნალი, ასაკის მიღწევისას არ ხსნიან მათ აღრიცხვიდან, ზოგჯერ არ აბამენ მათ შრომით საქმიანობაში.

ნაკლები ყურადღება ექცევა პატრონატზე აყვანილ და გაშვილებულ ბავშვთა პირადი საქმეების შედგენისა და სრულყოფის საქმეს. ინსტრუქციის შესაბამისად პირად საქმეში მოთავსებული არა აქვთ აუცილებლად საჭირო საბუთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებები, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის განყოფილებებთან ერთად სათანადოდ არ აწესრიგებენ რაიონში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, შვილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის საჭირბოროტო საკითხებს.

ადგილებზე ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ ზემდგო ორგანოების დადგენილებას ბავშვთა პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აღინიშნოს ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებებისა და სკოლების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილად აყვანის მოწესრიგების საქმეში.

2 ახმეტის, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებმა (ამხ. ამხ. ს. სალაძემ, ტ. ბეგიაშვილმა, დ. ლაფაჩიშვილმა):

ა) ზუსტად აღრიცხონ რაიონის სოფლებსა და საბავშვო დაწესებულებებში უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და მოზარდები, უზრუნველყონ მათი პატრონირება, მეურვეობა, მზურნველობა და შვილად აყვანა მოქმედი ინსტრუქციის ზუსტი დაცვით;

ბ) სამუშაო გეგმებში სისტემატურად გაითვალისწინონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონატის, მეურვეობის, მზრუნველობისა და გაშვილების საკითხები; შემოწმების შედეგები და გამოვლინებული ნაკლოვანებები განსახილველად შეიტანონ რაიაღმასკომისა და სახალხო განათლების სხდომებზე.

გ) ზუსტად შეავსონ ფორმა № 103 და უზრუნველყონ მათი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში დადგენილ ვადებში წარმოდგენა;

დ) პატრონატის, მეურვეობის, მზრუნველობისა და გაშვილების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო-

ბის 1969 წლის 31 მარტის ინსტრუქციით (კრებული № 5—6, 1969 წელი);

ე) შემოიღონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა სააღრიცხვო ჟურნალი. პატრონირებულ, გაშვილებულ, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ ბავშვებზე ცალ-ცალკე შეადგინონ პირადი საქმეები ყველა აუცილებელი საბუთით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) სისტემატურად შეისწავლონ უდედმამო ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები, შემოწმებაში ჩააბან სკოლის მუშაკები, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივი;

ზ) მტკიცე კავშირი დაამყარონ რაიონის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის განყოფილებებთან, სოფლის საბჭოს აღმასკომებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) პერიოდულად შეამოწმოს ადგილებზე ზემოხსენებული საკითხი და შემოწმების შედეგები შემოიტანოს განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 18 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 4 დეკემბრის ბრძანება № 692

### აბაშის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აბაშის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საქმეში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რაიონის სკოლები დაკომპლექტდა ახალი, უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე მასწავლებელთა კადრებით, რიგ სკოლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ხარისხი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული მუშაობა. სკოლების სპორტული ბაზები შეივსო სასწავლო სპორტული ინვენტარით.

გასულ სასწავლო წელს აბაშის რაიონში მომზადდა 10 პირველი, 30 მეორე და 120 ჭაბუკი პირველთანრიგოსანი სპორტსმენი, 26 სპორტული მსაჯი, 26 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და სხვ. ფიზკულტურის მასწავლებელთა ნაწილი კეთილსინდისიერად ემსახურება ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საქმეს, ამ მხრივ აღსანიშნავია აბაშის № 1 და № 2, ნაესაკოვოს და მარნის საშუალო სკოლები (ფიზკულტურის მასწავლებლები—ვ. ჩხაიძე, მ. ბოკუჩავა, ვ. ძველაია, ნ. გახოკიძე, ვ. ჭუჭალია). აღნიშნული სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებმა გააუმჯობესეს ფიზიკური კულტურის საპროგრამო მასალის დაგეგმვა და გაკვეთილების ჩატარების ხარისხი, რის შედეგად მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად არის დაუფლებული საპროგრამო მასალას, ამ სკოლებში სისტემატურად ტარდება მასობრივ-ტურისტული ლაშქრობები, შინასასკოლო შეჯიბრებები, სპარტაკიადები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები და სხვა.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლაში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს, რაიონის სკოლების დაწყებით კლასებში დაბალ დონეზე ტარდება ფიზიკური კულტურის გაკვეთილები, განსაკუთრებით საგვაზაოს რვაწლიან და საქობაოს საშუალო სკოლებში, სადაც ფიზიკურ კულტურას ასწავლიან არასპეციალისტები. ონტოფოს საშუალო და ეწერის რვაწლიანი სკოლების გაკვეთილების ცხრილში ერთსა და იმავე კლასში ფიზიკური კულტურის გაკვეთილები შეტანილია სათანადო ინტერვალის გარეშე, ასე, მაგალითად: ონტოფოს საშუალო სკოლის X კლასში ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ჩატარება დაგეგმილია ორშაბათსა და შაბათს, ხოლო ეწერის რვაწლიანი სკოლის VIII კლასში სამშაბათსა და ოთხშაბათს.

ქოლოშნის, სუჯუნის, ძველი აბაშის საშუალო და განათლების კარის რვაწლიან სკოლებში მოსწავლეები ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე ცხადდებიან სპორტული ფორმის გარეშე; აღნიშნული სკოლების ფიზიკური კულტურის მასწავლებლები საშწყობრო მომზადებას არ აქცევენ სათანადო ყურადღებას, რის გამო მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის წყობილებაში სიარული და გადაწყობა, არ არიან დაუფლებულნი სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომის ხერხებს.

ონტოფოს, ქოლოშნის, სამიქაოსა და ძველი აბაშის საშუალო, განკარისა და ძველი აბაშის რვაწლიან სკოლებში სპორტული მოედნები მოუვლელია, სააგიტაციო მუშაობა დაბალ დონეზე მიმდინარეობს.

სამიქაოს, ძველი აბაშის, ტყვირის და სეფიეთის საშუალო სკოლები სასწავლო პროგრამის გასავლელად არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო სასწავლო სპორტული ინვენტარით.

სოფ. ნაესაკოვოს სკოლის სპორტული დარბაზი გადაკეთებულია საკლასო ოთახებად, რის გამო მოსწავლეები ზამთრისა და წვიმიან ამინდში მოკლებულნი არიან ფიზკულტურაში ნორმალურ მეცადინეობას.

მიმდინარე სასწავლო წელს რაიონის არცერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ ჩატარებულა მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება, მაგრამ ბავშვებს საექიმო დასკვნის გარეშე ათავისუფლებენ ფიზკულტურის გაკვეთილებიდან. რაიონის სკოლების უმ-

რავლესობაში სკოლის ადმინისტრაცია იშვიათად ესწრება ფიზი-კური კულტურის გაკვეთილებს და ნაკლებად იხილავენ ფიზკულ-ტურის საკითხებს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლა (დირექტორი გ. კვე-ჭარავა) განიცდის სპორტული ფორმისა და ინვენტარის ნაკლე-ბობას. სკოლაში არსებული სპორტული ინვენტარის უმეტესობა წყობიდან გამოსული და სახმარად უვარგისია. სკოლაში არ არის მეცადინეობის სტაბილური სასწავლო ცხრილი. სპორტის სახეო-ბების პროფილი განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშეა შეცვლილი.

განათლების განყოფილება იშვიათად ამოწმებს და სახალხო განათლების საბჭოზე იხილავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური კულტურის სწავლების მდგომარეობას; სკოლების კომპ-ლექსური შემოწმებისას არ იყენებენ ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლის სპეციალისტებს. განათლების განყოფილებაში ფიზიკური კულტურის სწავლების მიმდინარეობაზე ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის საკითხები რაიონის სკოლებში დავალებული აქვს საგნის არასპეციალისტს და სხვ.

აბაშის რაიონის სკოლებში ფიზიკური კულტურის სწავლებისა და მოსწავლეთა სპორტული წრთობის საქმეში არსებულ ნაკლო-ვანებათა გამოსწორების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. **რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:**

ა) ფიზიკური კულტურის სწავლების მიმდინარეობის სა-კითხი პერიოდულად მოისმინონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, განაზოგადონ და სწავლებაში აქტიურად დანერგონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება, სწავლებაში შენიშნულ ნაკლო-ვანებათა აღმოსაფხვრელად გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი, შექმნან ნორმალური პირობები და სათანადო მატერიალური ბაზა ფიზიკური კულტურის სახელმწიფო პროგრამის გასავლელად;

ბ) გაზარდონ მომთხოვნელობა ფიზიკური კულტურის მას-წავლებლებისადმი, ყურადღება გაამახვილონ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკურ და ჰიგიენურ აღზრდაზე. სისტემატური და-ხმარებისა და კონტროლის გაწევით მიაღწიონ ფიზკულტურის გა-კვეთილების ხარისხის გაუმჯობესებასა და კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებას, განა-

მტკიცონ და ხელი შეუწყონ სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივის ნორმალურ მუშაობას;

გ) ჩაატარონ სათანადო მუშაობა ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე მოსწავლეთა სპორტული ფორმით გამოცხადების საკითხის მოსაგვარებლად;

დ) ფიზიკური კულტურის მასწავლებლებთან, ექიმთან და კლასის ხელმძღვანელებთან ერთად შეამოწმონ და შეისწავლონ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათი ფიზიკური განვითარება, არ დაუშვან ფიზკულტურის გაკვეთილებიდან მოსწავლეთა განთავისუფლება ექიმის სათანადო დასკვნის გარეშე. ორგანიზაცია გაუკეთონ სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეებთან სამკურნალო ფიზკულტურის და ჰიგიენური ტანვარჯიშის ჩატარებას სკოლის ექიმის უშუალო მეთვალყურეობით;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე მოსწავლეთა კლასებისა (ასაკისა) და სქესის მიხედვით სახელმწიფო პროგრამის სწორ სწავლებას, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების, სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებას.

ვ) მოაწყონ და წესრიგში მოიყვანონ მარტივი ტიპის სპორტული მოედნები; სპორტული დარბაზები უზრუნველყონ სათანადო სასწავლო-სპორტული ინვენტარით. დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ჩასატარებელ ადგილებში.

### 2. რაიონის განათლების განყოფილებამ

ა) გაატაროს სათანადო ღონისძიება სკოლებში ფიზიკური აღზრდის, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად შეამოწმოს სკოლების მუშაობა ამ მიმართებით და საჭიროების შემთხვევაში საკითხი მოისმინოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე;

ბ) სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სკოლებს სპორტული ბაზების მშენებლობისა და მათი სასწავლო-სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სასკოლო, რაიონული და საქალაქო სპარტაკიადების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებას.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა კაპიტალური მშენებლობის გან-

ყოფილებასთან ერთად, უახლოეს ხანში დაამუშაოს მარტივი ტი-პის სპორტული მოედნების სქემები და დაგზავნოს ადგილებზე.

4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. ი. ბაცელაშვილი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგები მომახსენოს ამა წლის 25 დეკემბრამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 21 დეკემბრის დადგე-ნილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# П Р И К А З
# МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 4 ДЕКАБРЯ 1969 года № 691

## О состоянии физического воспитания и спортивно-массовой работы в общеобразовательных и детско-юношеской спортивной школах Марнеульского района

Наряду с проведенной работой общее состояние физического воспитания учащихся школ Марнеульского района находится на низком уровне и не отвечает требованиям задач, предъявленных к школе по всесторонней физической подготовке молодого поколения.

В ряде школ района отсутствует должная система физического воспитания учащихся, имеет место формальное отношение со стороны руководителей и учителей физкультуры к организации и проведению учебной и внеклассной работы (Марнеульская азербайджанская средняя школа, директор тов. М. Караев, учителя тов. тов. А. Мамедов и А. Мусаев; Байдарская средняя школа, директор тов. С. Гейдаров, учитель тов А. Чобанов; Шаумянская русская средняя школа, директор тов. П. Курдов, учитель тов. А. Арутюнян).

Многие учителя физической культуры учебный материал программы планируют неправильно, без учета особенностей последовательного прохождения её разделов, отсутствует связь между уроками. Они плохо готовятся к урокам, перед ними не ставят определенную задачу и уроки проводят на низком методическом уровне. Они не добиваются достаточной плотности и на уроках не проявляют необходимой требовательности к учащимся, ограничиваются механическим выполнением ими упражнений, в результате чего учащиеся не умеют правильно вы-

полнять элементы техники бега, прыжков и метаний. Учащиеся не обладают даже элементарными навыками строевой подготовки и в строю ходить не умеют. На уроки физкультуры учащиеся допускаются в повседневной одежде и обуви. Сами учителя уроки проводят также в повседневной одежде и обуви (Качаганская, Шулаверская, Церетельская средние школы, Гуларская, Имирская, Сабиркяндская восьмилетние школы, учителя физической культуры тов. тов. С. Гасанов, С. Гусейнов, А. Абасов, Н. Арешидзе, И. Мамедов, Д. Папазаде).

Во многих сельских восьмилетних школах из-за отсутствия специалистов уроки физкультуры ведут учителя других предметов, а поэтому естественно эти уроки они проводят методически неправильно, однообразно и неинтересно (Хахмельская, Чанахчинская, Сионская, Цераквинская и другие школы). Из 27 сельских восьмилетних школ только в 5 щколах введена должность учителя физкультуры (Красносельская, Земо-Сарамская, 1-Кесалинская, Сабиркяндская № 2 и Куртлярская школы).

Особенно плохо обстоит дело физического воспитания в начальных классах, где эту работу в основном ведут учителя начальных классов, в большинстве своем не имеющие необходимой подготовки. К тому же им недостаточно оказывается методическая и практическая помощь и их работа слабо контролируется, в результате уроки физкультуры проводятся без учета особенностей детского возраста, а также имеет место замена уроков физкультуры другими предметами. Во многих школах уроки физкультуры в расписании указаны 4 и 5 часами без учета пропускной способности спортивных баз, в результате чего в один и тот же час запланировано в нескольких классах проведение уроков физкультуры.

Вследствие плохой постановки физического воспитания учащиеся начальных классов своевременно не приобретают необходимые знания и они не обладают жизненно важными двигательными навыками, следовательно эту работу приходится выполнять учителям 5—8 классов, что значительно мешает прохождению программного материала в старших классах.

Медицинский контроль за здоровьем учащихся проводится неудовлетворительно. Распределение учащихся на медицинские группы производится формально.

В большинстве школ района слабо развернута внеклассная спортивно-массовая работа. Коллективы физкультуры организационно не укреплены. Редко проводятся внутришкольные соревнования. Недостаточно ведется работа по подготовке значкистов ГТО и спортсменов-разрядников. Количество занимающихся в спортивных секциях незначительное и состовляет 20—25%, против 65—70% к общему числу учащихся 3—10 классов, к тому же с ними несистематически проводится оздоровительная и спортивно-массовая работа. Слабо развернута работа по агитации и пропаганде физической культуры и спорта, не организованы уголки физической культуры, нет пособий для наглядной агитации и пропаганды физической культуры и спорта.

Во всех восьмилетних и средних школах района имеются спортивные площадки, однако многие из них находятся в запущенном состоянии (Качаганская, Шулаверская, Церетельская, Марнеульская азербайджанская средние школы),

Плохо обстоит дело и со строительством пристроек к школьным зданиям физкультурных залов. Из 33 средних школ физкультурные залы имеются лишь в 3 школах, а приспособленных помещений—в 6 школах.

В районе имеется детско-юношеская спортивная щкола (директор тов. В. Габулов). В школе 9 учебных групп (по легкой атлетике—3 группы, волейболу—4 и тяжелой атлетике—2 группы).

Учебно-воспитательная и спортивная работа в школе находится в крайне неудовлетворительном состоянии. Учебные группы укомплектованы без учета возрастных особенностей и физической подготовки учащихся. Многие учащиеся принимаются и отчисляются без ведома директора школы, в результате чего имеет место большая текучесть учащихся, что состовляет 65—70%, а качественная подготовка учащихся низкая и не превышает нормативов юношского разряда, к тому же только 25—30% учащихся выполняет эти нормативы. Хозяйство школы находится в запущенном состоянии.

Директор школы тов. В. Габулов не в состоянии обеспечить руководство и контроль как над работой тренерского состава, так и в целом над учебно-воспитательной работой спортивной школы.

Отмеченные недостатки в постановке физического воспитания и спортивно-массовой работы учащихся школ Марнеульского района былибы меньше, если РОНО систематически требовал бы от руководителей школ и учителей физической культуры проведение повседневной работы по улучшению состояния физического воспитания в школах района.

В целях устранения указанных недостатков и улучшения состояния физического воспитания в школах Марнеульского района

П р и к а з ы в а ю

1. Заведующему Марнеульским РОНО тов. Гейдарову Ю. А.:

а) обратить особое внимание на неудовлетворительное состояние физического воспитания и спортивно-массовой работы в школах района и принять необходимые меры к устранению установленных проверкой недостатков в этой работе;

б) систематически заслушивать доклады директоров школ о состояния физического воспитания учащихся;

б) проводить систематическую планомреную проверку состоянии физического воспитания учащихся;

в) проводить систематическую планомерную проверку состояния физического воспитания и спортивно-массовой работы в щколах района;

г) разобраться по каждой щколе с обеспеченностью условий для нормального проведения уроков и внеклассных занятий по физической культуре и создать для этого необходимые условия;

д) принять соответствующие меры к улучшению качества преподавания уроков физкультуры в школах района, обратив особое внимание на улучшение работы по повышению квалификации учителей физической культуры; для них регулярно проводить методические занятия и семинары.

2. Обязать директоров школ района:

а) обратить особое внимание на неудовлетворительное состояние физического воспитания и внеклассной спортивно-массовой работы в школе и принять необходимые меры к их устранению;

б) пересмотреть расписание уроков физкультуры и впредь не допускать планирование уроков одновременно в нескольких классах, если для одновременного их проведения нет соответствующих условий; не допускать замены уроков физкультуры другими предметами;

в) систематически оказывать деловую помощь учителям физической культуры в улучшении постановки физического воспитания и внеклассной оздоровительно-массовой работы учащихся школы, при этом обратить особое внимание на педагогический процесс обучения и правильное выполнение упражнений, направленных на всестороннее физическое развитие учащихся:

г) потребовать от учителей физической культуры повышения качества учебной и внеклассной спортивно-массовой работы в школе; организационно укрепить и оживить работу коллектива физкультуры школы; увеличить количество занимающихся в секциях с тем, чтобы обеспечить массовый охват учащихся систематическими занятиями физкультурой и спортом; при школе иметь инструкторский актив и судейскую коллегию по спорту.

3. За слабое руководство и контроль над учебно-воспитательной и спортивной работой школы директору детско-юношеской спортивной школы тов. В. Габулову объявить строгий выговор и предупредить, что впредь за необеспечение должного руководства и контроля над учебно-воспитательной и спортивной работой школы будут приняты более строгие меры.

4. Поручить республиканскому институту усовершенствования учителей (тов. Захашвили Т. А.) и методическому кабинету физического воспитания Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Мерквиладзе Г. Н.) организовать семинарские занятия для учителей физической культуры школ Марнеульского района и оказать им методическую и практическую помощь в правильном планировании учебной и внеклассной спортивно-массовой работы в школах.

5. Поручить отделу физического воспитания и спорта (тов. И. Б. Бацелашвили):

а) оказать практическую помощь Марнеульскому РОНО в улучшении постановки физического воспитания и спортивно-массовой работы в школах района;

ეროვნული ბიბლიოთეკა

б) ход выполнения настоящего приказа проверить в апреле месяце 1970 года.

**Основание**: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 21 ноября 1969 г.

Зам. Министра просвещения
Грузинской ССР **У. П. Оболадзе**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 26 დეკემბრის ბრძანება № 731

### ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსურმა შემოწმებამ ცხადყო, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, მის საქმიანობაში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები.

სკოლა-ინტერნატში (დირექტორი გ. ნარიმანიძე) შესრულებული არ არის აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმა: 330 აღსაზრდელის ნაცვლად 1969 წლის 25 ოქტომბრისათვის ირიცხებოდა 297 მოსწავლე.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ცალკეული საგნების სწავლების საქმე.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში X კლასის მოსწავლეებმა (მასწ. რ. ბანცური), რომლებმაც სუსტად იციან მხატვრული ნაწარმოების შინაარსი და არ შეუძლიათ მისი გაანალიზება. დაბალია მათი ცოდნა ლიტერატურის თეორიის საკითხებში. ამ კლასში ადგილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლაში ჩამორჩენასა და მოსწავლეთა ნამუშევრების ლიბერალურად შეფასების შემთხვევებს.

სუსტად ისწავლება რუსული ენა II და III კლასებში (მასწავლებლები მ. დურგლიშვილი და ქ. ყიფიანი). აღნიშნული მასწავლებლები, სხვა საგნებთან ერთად, რუსულ ენასაც ასწავლიან, მაგრამ ვერ ფლობენ რუსულ ენას, რის გამოც გაკვეთილებზე უშვებენ უხეშ, მოუთმენელ ენობრივ შეცდომებს; არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს რუსულ ენაში VII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი კ. არაბული). მათ არ იციან მეტყველე-

ბის ნაწილები, ვერ ერკვევიან ზმნის კატეგორიებში, არ შესწევთ უნარი რუსულ ენაზე გამოთქვან მარტივი აზრი. მასწავლებელი ქ. არაბული არ ასწორებს მოსწავლეების საკლასო და საშინაო დავალებათა რვეულებს.

ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს გერმანულ ენაში VIII და IX კლასების მოსწავლეებმა (მასწ. ს. ვარდანაშვილი). ისინი სუსტად კითხულობენ, უჭირთ წაკითხული ტექსტის თარგმნა, შესწავლილ გრამატიკულ მოვლენებს ვერ უკავშირებენ ტექსტობრივ მასალას და ვერ იყენებენ საუბარში. დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია სკოლა-ინტერნატის მე-5 კლასებში (მასწ. ხ. ალუდაური). მოსწავლეებმა ძალზე სუსტად იციან გავლილი საპროგრამო მასალა.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას სკოლა-ინტერნატში ფიზიკის სწავლება. მასწავლებელი მ. არაბული გაკვეთილებს მეთოდურად დაბალ დონეზე ატარებს. მე-9 კლასში მან ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე გადასცა ჰუკის კანონი, ხოლო X კლასში ჯოულენცის კანონის დამუშავებისას არ მოუხდენია დენის სითბური მოქმედების დემონსტრირება, არ უჩვენებია „მოკლე შეერთება“, მცველების გადაწვა და ა. შ. მოუწყობელია ფიზიკის კაბინეტი. არსებული ხელსაწყო-იარაღები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ სასკოლო ექსპერიმენტის ჩატარების მოთხოვნებს.

დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს მათემატიკაში V და VIII კლასის მოსწავლეებმა. მასწავლებელი ჟ. არაბული არასწორად ატარებს საკონტროლო წერებს. მე-9 კლასში 24 დღის განმავლობაში, 1-დან 24 ოქტომბრამდე, ჩატარებულია 5 საკონტროლო წერა. შერჩეული მაგალითები მეტად მარტივია.

სკოლა-ინტერნატში სუსტადაა დაყენებული აღსაზრდელთა ფიზიკური აღზრდა (მასწავლებელი ა. ხარაული), აქ, როგორც წესი, არ ტარდება დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიში, მოძრავი თამაშობანი, შიდასასკოლო შეჯიბრებები და სხვ.

სუსტად არის დაყენებული საალმზრდელო მუშაობა. სკოლა-ინტერნატის დღის რეჟიმი არ არის შედგენილი თითოეული კლასისათვის დიფერენციულად. არ ჩანს თვითმომსახურებითი შრომა, წრეობრივი მუშაობა. არა აქვთ შედგენილი კვირა და უქმე დღეების რეჟიმი.

სკოლა-ინტერნატის აღმზრდელები, საშინაო დავალებების შესრულებისას ძირითადად გამოდიან მხოლოდ მეთვალყურის როლში: არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიმდინარე აკადემიური მოსწრების მდგომარეობას, არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებსა და მიმართულებას, არ ნერგავენ მათში თვითშემოწმების უნარ-ჩვევებსა და სხვა. დირექტორის მოადგილე საალმზრდელო დარგში გ. თ. არაბული, ნაკლებად ესწრება და აღრიცხავს აღმზრდელთა მუშაობას.

სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, ძნელად ასათვისებელი საგნები შეტანილია მე-5 და მე-6 გაკვეთილებად. ზოგჯერ საკლასო ჟურნალში არ შეაქვთ დამუშავებული მასალა და მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ნიშნები.

სკოლა-ინტერნატში დღემდე არ არის შექმნილი არც ერთი საგნის მეთოდური გაერთიანება.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას სკოლა-ინტერნატში ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლეთა მუშაობაზე. სკოლა-ინტერნატის დირექტორს გ. ნარიმანიძეს მოსმენილი აქვს 27 გაკვეთილი, რომელთა ანალიზი მეტად ზოგადი და სქემატურია, ხოლო დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. არაბულს ოქტომბრის დამლევისათვის არცერთი გაკვეთილი არ ჰქონდა მოსმენილი.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება პედსაბჭოს მუშაობა. პედსაბჭოს სხდომებზე არ აქვთ განხილული ცალკეული საგნების სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები. სხდომებზე მიღებული დადგენილებები ზოგადი და არაფრისმთქმელია. სკოლა-ინტერნატში არ არის ჩამოყალიბებული მზრუნველთა საბჭო, არ ჰყავთ შერჩეული საშეფო ორგანიზაცია.

სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოფილი არ არის წყლით, არ მუშაობს აბანო, მოუწყობელია სამრეცხაო, წესრიგში არ არის მოყვანილი ცენტრალური გათბობის სისტემა. არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენა. ბავშვების უმეტეს ნაწილს არა აქვს საკუთარი საპონი, კბილის ფხვნილი, ჯაგრისი. გოგონებისათვის არ არის მოწყობილი ჰიგიენის ოთახი. სკოლა-ინტერნატს აკლია როგორც რბილი, ასევე მაგარი ინვენტარი: სკამები, ტანსაცმლის კარადები, საწოლები და სხვ.

ცუდად არის დაყენებული კვების ბლოკის მუშაობა. სასადილო არ მარაგდება ცხელი წყლით, ინვენტარი მოძველებულია. სამზარეულო საჭიროებს რემონტს. აღსაზრდელებს არ ეძლევათ ნორმით დადგენილი პროდუქტები.

კეთილმოუწყობელია სკოლა-ინტერნატის კარმიდამო. საპირფარეშოსა და ზოგიერთ სათავსომდე არ არის გაკეთებული მისასვლელი გზები.

სკოლა-ინტერნატის მუშაობაში არსებული ზემოხსენებული და სხვა ნაკლოვანებანი გამოწვეულია, ერთის მხრივ, დირექციის სუსტი მუშაობით, მეორეს მხრივ კი, სკოლა-ინტერნატისადმი დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების არადამაკმაყოფილებელი დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (გ. ნარიმანიძე):

ა) მტკიცე კონტროლი დააწესოს მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე: სისტემატურად მოისმინოს გაკვეთილები; მიაღწიოს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დონის მკვეთრად გაუმჯობესებას;

ბ) ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობა იმგვარად წარმართოს, რომ ისინი საფუძვლიანად ემზადებოდნენ ყოველი გაკვეთილისა და მეცადინეობისათვის;

გ) არ დაუშვას საკლასო ჟურნალებში მასწავლებელთა მიერ გადაცემული მასალის შეუტანლობის არც ერთი შემთხვევა; აღკვეთოს მოსწავლეთა ლიბერალური შეფასება და ყურადღება მიაქციოს საკლასო და სააღმზრდელო ჟურნალების მოვლას;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წერის ნორმების შესრულებას, საწერი თემებისა და საჯეების შერჩევას ცალკეული კლასების მიხედვით და საკლასო-საშინაო წერითი ნაშრომების გასწორების საქმეს;

ე) დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბოს სკოლა-ინტერნატში ციკლობრივი მეთოდური გაერთიანებანი;

ე) მეტი ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას;

ზ) სათანადო ყურადღება მიაქციოს აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეს, უზრუნველყოს ნორმით გათვალისწინე-

ბული პროდუქტების სრულად მიღება და დანიშნულებისამებრ მი-
წოდება;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ) სასწრაფოდ დაიწყოს და უმოკლეს ვადაში დაამთავროს სასმელი წყლის გამოყვანა, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწესრიგება, სკოლა-ინტერნატის ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ი) 1970 წლის 1-ლ ივლისამდე წარმოადგინოს ანგარიში აღნიშნული დადგენილებით დასახული ღონისძიებების შესრულების თაობაზე.

2. ცალკეული საგნების მასწავლებლებმა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებით, თავიანთ თავზე სისტემატური მუშაობითა და პედაგოგიური დახელოვნებით უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა შორის სწავლების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება.

3. სკოლა-ინტერნატის აღმზრდელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ აღსაზრდელთა ჩაცმა-დახურვის, პირადი ჰიგიენისა და ქცევის კულტურის ჩვევების დანერგვას.

4. სასწავლო-საღმზრდელო და სამეურნეო მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის სკოლა-ინტერნატის დირექტორს გ. ნარიმანიძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური. თუ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე ამხ. მ. ნარიმანიძე ვერ უზრუნველყოფს სკოლა-ინტერნატის მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა არსებითად აღმოფხვრას, დაისმება საკითხი დაკავებული თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ.

5. სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. არაბულს, მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

6. სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს საღმზრდელო დარგში გ. თ. არაბულს აღმზრდელთა საქმიანობაზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლისა და აღრიცხვისათვის გამოეცხადოს საყვედური.

7. დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. აბალხამიშვილი):

ა) გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლა-ინტერნატის დირექტორთან ერთად აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმების შესასრულებლად;

ბ) მკაცრი კონტროლი დააწესოს სკოლა-ინტერნატის საქმიანობაზე. სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლოს ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მუშაობა და თუ ისინი არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, სათანადო წესის დაცვით, დააყენოს საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

გ) ჩამოაყალიბოს სკოლა-ინტერნატში მზრუნველთა საბჭო და დააყენოს საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე სკოლა-ინტერნატისათვის საშეფო ორგანიზაციის შერჩევის შესახებ.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს (ამხ. გ. ეპიტაშვილი) საჭირო დახმარება აღმოუჩინოს ბარისახოს სკოლა-ინტერნატს დაზიანებული ხელსაწყო-იარაღების შეკეთებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში ზოგიერთი თვალსაჩინო მასალის უსასყიდლოდ გადაცემის საქმეში.

9. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს ბარისახოს სკოლა-ინტერნატს რბილი და მაგარი ინვენტარის შეძენის საქმეში.

10. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) 1970 წლის III კვარტალში ადგილზე მოახდინოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და შედეგები განიხილოს სამმართველოში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 18 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. იბოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო-სა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დაარსების 40 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

1969 წლის 18 დეკემბერი

რესპუბლიკის პიონერთა და მოსწავლეთა შორის სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და სათანადო შრომითი ჩვევე-ბის დანერგვის საქმეში დიდი დამსახურების გამო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ადგენენ:

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დაარსებიდან 40 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით 1970 წლის მაისში საზეიმოდ აღინიშნოს სადგურის დაარსების 40 წლისთავი.

2. საიუბილეო თარიღის ორგანიზებულად აღნიშვნისათვის გამოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ლალიძე ნ.—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარე);

2. ეპიტაშვილი გ.—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგუ-რის დირექტორი;

3. იოსელიანი დ.—უმაღლესი, საშუალო და სპეციალური განათლების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავ-მჯდომარე;

4. ცერცვაძე ი.—გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორი;

5. ხმიადაშვილი გ.—მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურე-ბული მოღვაწე, პროფესორი;

6. ბეთანელი არ.—ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

7. ჩხიკვაძე ა.—საქართველოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. აბულაძე ს.—საქართველოს „დოსაავის“ რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

9. კრასლავსკი ბ.—თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე;

10. ლომიძე ზ.—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერების განყოფილების გამგის მოადგილე;

11. კობახიძე გ.—ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი;

12. ჯაფარიძე ნ.—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი, სოციალისტური შრომის გმირი;

13. ხუროძე ლ.—თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკის ლაბორატორიის გამგე;

14. თევდორაძე გ.—ქ. თბილისის გორკის სახელობის კულტურის სახლის დირექტორი;

15. არველაძე ს.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს უფროსი;

16. შველიძე ნ.—გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი;

17. წამთალიშვილი გ.—გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორის მოადგილე;

18. პიპილური თ.—გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე;

19. დარსალია ქ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

20. ნაცვლიშვილი თ.—ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა მთავარი რედაქტორი;

21. ენუქიძე ქ.—„საქნახშირის“ ტრესტის ინჟინერი.

3. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დაარსების 40 წლისთავის აღსანიშნავად წარმოდგენილი გეგმა დამტკიცდეს (თან ერთვის).

4. დაევალოს საიუბილეო კომისიას წარმოადგინოს დამატე-ბითი ღონისძიებები ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის საიუბილეო თარიღის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

ბიბლიოთეკა

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოკავშირე რესპუბლიკები-დან 35 კაცის მოწვევა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ა. კვაჭაძე) 1970 წლის ბიუჯეტში ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის საიუბილეო თარიღის აღნიშვნისათვის გაითვალისწინოს საჭირო თანხა.

7. დაევალოს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამ-მართველოს (ამხ. ს. არველაძე) საიუბილეო თარიღთან დაკავში-რებით ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს დამატებით გამო-უყოს საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნილების შესაბამისად, მაღალი ხარისხის ქაღალდი და სხვა საჭირო მასალები.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომი-სიას გამოყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის საჭიროებისათვის ლითო-გრაფიული და ცარცის ქაღალდი, სხვადასხვა ფერის ნიტრო საღებავები და სხვა მასალები წარმოდგენილი განაცხადების მი-ხედვით.

9. ეთხოვოს კინო-ქრონიკალურ დოკუმენტური სტუდიის დირექციას ფირზე ასახოს სადგურის საქმიანობა და მისი 40 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო დღეები.

10. დაევალოს ალკკ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომი-ტეტებს აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათ-ლების განყოფილებათა გამგეებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ტექნი-კური წრეებისა და კლუბების მუშაობისადმი, გაზარდონ ტექნიკური წრეების რაოდენობა და უზრუნველჰყონ ამ წრეებში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმა.

11. დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორს (ამხ. გ. ეპიტაშვილი):

ა) საიუბილეო თარიღის აღნიშვნის გეგმის მიხედვით შეადგი-ნოს და უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს იუბილესთან დაკავშირე-ბული გასაწევი ხარჯების საორიენტაციო ხარჯთ-აღრიცხვა;

ბ) ჩაატარონ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა საიუბილეო თარიღის წარმატებით ჩატარებისათვის, ჩააბან ამ საქმიანობაში ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მუშაობით დაინტერესებული წარმოებები და სამეცნიერო დაწესებულებები.

ეროვნული

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
რ. მეტრეველი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 25 სექტემბრის ბრძანება № 525

### ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების საქმეში სკოლების ხელმძღვანელობისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ

გასულ, 1968—1969 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ადგილებზე არადამაკმაყოფილებლად სრულდებოდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს 1967 წლის 30 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება „სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში და სახალხო განათლების სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ზოგიერთი სახალხო განათლების დაწესებულების ხელმძღვანელი და მომსახურე პერსონალი არც კი გაცნობია აღნიშნულ ბრძანებას, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა სახანძრო ორგანოების მოთხოვნილებათა შესრულების საქმეს. ამის შედეგად ბევრ სასწავლო და საბავშვო დაწესებულებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე აღმოუფხვრელი რჩებოდა ხანძარსაწინააღმდეგო დარღვევები.

ხანძარსაწინააღმდეგო წესების შეუსრულებლობის გამო 1969 წლის მარტო ორი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ხანძრის გაჩენის შემთხვევებს ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბოლნისისა და ონის რაიონებში.

სკოლებში და საბავშვო დაწესებულებებში ხანძრის გაჩენის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს: ცეცხლთან გაუფრთხილებლობა, უწესივრო ელექტრომოწყობილობათა, დროებითი თუნუქის ღუმელებისა და საკვამურების, რომელთა გამოყენება მკაცრად იკრძალება სახანძრო ორგანოების მიერ, ექსპლოატაცია. აღნიშნული

მიზეზებისაგან გამოწვეულია თითქმის ყველა მომხდარი ხან-ძარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალქალაქის, ბორჯომის, დუშეთის, თელავის, თერჯოლის, თიანეთისა და სხვა რაიონებისა და ქალაქების ზოგიერთ სკოლას არ გააჩნია სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელები, რაც ხან-ძრის შემთხვევაში საფრთხეს უქმნის ბავშვების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლასა და საბავშვო დაწესებუ-ლებაში დაზიანებულია პირველადი ხანძარსაქრობი საშუალებანი და შიდა სახანძრო წყალგაყვანილობა. ხშირ შემთხვევაში სახანძრო წყალსაცავები აუვსებელია წყლით, რის გამოც შეუძლებელი ხდე-ბა მათი გამოყენება ხანძრის ჩასაქრობად.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება ადგილებზე, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 14 თებერვლის № 104 ბრძანება „რესპუბლიკის სკოლებში გათბობის სისტემისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“.

ქ. ქ. თბილისის, ჭიათურის, რუსთავის, გორის, აგრეთვე აბაშის, ადიგენის, ახალციხისა და სხვ. ქალაქებისა და რაიონე-ბის განათლების განყოფილებებს დღემდე არ შეუმუშავებიათ სკო-ლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების დროებითი თუნუქისა და კედლის ღუმელებიდან ცენტრალურ გათბობაზე თანდათანობით გადაყვანის გეგმა და საკითხი გან-სახილველად არ შეუტანიათ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომე-ბის სხდომებზე.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1969 წლის 13 ივლისისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1969 წლის 26 აგვისტოს მითითებათა შესრულებისა და რესპუბ-ლიკის სკოლებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონე-ბის განათლების განყოფილებებმა:

ა) გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებში საკვამურების, გათბობის სისტემებისა და ხელსაწყოების ზამთრის სეზონისათვის სრულ წესრიგში მოსაყვანად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ადგილობრივი ელექტროზედამხედველობის ორგანოების საშუალებით შეამოწმონ ელექტროდანადგარები და ჩაატარონ აუცილებელი სარემონტო სამუშაოები; ელექტროდანადგარები, რომელთა შეკეთება არ მოხერხდება ტექნიკური მიზეზების გამო, გამორთონ ელექტროენერგიიდან;

გ) აკრძალონ დროებითი თუნუქისა და კედლის ღუმელების გამოყენება სახანძრო დაცვის ორგანოების მიერ მათი წინასწარი შემოწმებისა და ნებართვის გარეშე;

დ) სკოლების ინსპექტირებისას რეგულარულად შეისწავლონ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საკითხის სახალხო განათლების ობიექტების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში;

ე) სახანძრო დაცვის განყოფილებებთან ერთად მიიღონ აუცილებელი ზომები სკოლებში და საბავშვო დაწესებულებებში ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ორგანიზაციისა და მათი მუშაობის გააქტივებისათვის; დახმარება გაუწიონ ახლადჩამოყალიბებულ სახანძრო რაზმეულებს სახანძრო საქმის შესწავლაში;

ვ) 1969 წ. 10 ოქტომბრამდე წარმოუდგინონ მოხსენებითი ბარათები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 14 თებერვლის № 104 ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე;

ზ) სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ამ ბრძანების შეუსრულებლობისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევის გამო, დაადონ მკაცრი სასჯელი.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეორე განყოფილებამ (ამხ. ო. მჭედლიძემ) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

3. ეს ბრძანება განსახილველად და შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 19 სექტემბრის დადგენილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება № 192—618

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვებითი მომსახურების შემოწმების შედეგებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

შემოწმებით დადგენილ იქნა, რომ ვაჭრობისა და განათლების ორგანოებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მიმდინარე სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვებით მომსახურების გასაუმჯობესებლად.

სასკოლო კვების საწარმოთა უმრავლესობაში ჩატარდა რემონტი; 21 ბუფეტი გადატანილ იქნა უფრო ფართო და კეთილმოწყობილ სადგომში, მათ შორის თბილისში—15. ზოგიერთი ბუფეტი და სასადილო შეივსო სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობით, ავეჯით; საწარმოთა უმრავლესობა დაკომპლექტდა კვალიფიციური კადრებით;

თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, ფოთში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში სასკოლო საუზმეულზე და სადილებზე შემოღებულია ერთიანი უცვლელი ფასები, რამაც განაპირობა აბონემენტების გაყიდვის შესაძლებლობა.

ახალი სასწავლო წლიდან ქ. თბილისის სასკოლო ბუფეტებში პროდუქტები შეაქვთ ცენტრალიზებული წესით.

მიუხედავად ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვებით მომსახურების საქმე, განსაკუთრებით, კი ცხელი კერძებით, ჯერ კიდევ არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

სასკოლო ბუფეტების დიდი ნაწილი კვლავ მოთავსებულია ვიწრო და შეუფერებელ სადგომებში; ზოგი მათგანი განლაგებულია სარდაფებში, დერეფნებში, ეზოებში.

მეტისმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო კვების საწარმოებში დასაჯდომი ადგილების გადიდება, მოსწავლეთა კვების გასაუმჯობესებლად, იქ, სადაც ამის შესაძლებლობაა, გათვალისწინებული არ არის სააქტო დარბაზები, სკოლის ახალ შენობებში კვლავ გათვალისწინებულია ბუფეტი ან 30—40 ადგილიანი ბუფეტ-სასადილოები, რის შედეგადაც 1000 მოსწავლეზე სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში ამჟამად მოდის 29,9 ადგილი, ნაცვლად ნორმატივით გათვალისწინებული 250 ადგილისა;

სკოლის ბუფეტების ნაწილში არ არის ელექტრონის ან გაზის ქურები, მაცივრები; მათ უმრავლესობას არა აქვს გამდინარე ცხელი წყალი.

სკოლის საშეფო ორგანიზაციები ნაკლებ მზრუნველობას იჩენენ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გაფართოებისა და მათი კეთილმოწყობისათვის.

სასკოლო კვების ზოგიერთ ობიექტში დაგვიანებით ხდება პროდუქტების შეზიდვა, რაც ძირითადად ავტოსატრანსპორტო კანტორების მოუქნელი მუშაობით არის გამოწვეული; არის შემთხვევები, როცა რაისამზარეულოებს ტექნიკურად გაუმართავი მანქანები ეგზავნებათ.

თბილისის რძისა და ხორცის კომბინატებს რაისამზარეულოებში ზოგჯერ დაგვიანებით შეაქვთ პროდუქტები, რის გამოც პირველი ცვლის ჯგუფები საუზმის გარეშე რჩებიან.

სასკოლო კვების ზოგიერთ საწარმოს აკლია პროდუქტების გადასატანი კონტეინერები, თერმოსები, ჩაიდნები, ტაშტები, მაშები, ლამბაქები, დოლბანდი, მუშამბა, არა აქვს ქაღალდის ხელსახოცები და სხვა ინვენტარი.

თბილისის სასადილოების ტრესტის რიგი სამზარეულოების გამგეები ამხ. ამხ. ხუროშვილი, მჟავანაძე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, კატლეტის, ხაჭაპურის, ღვეზელას და სხვა სახის საკუთარი გამოშვების ნაწარმის ხარისხს, რის შედეგად სკოლის ბუფეტებში იგზავნება უხარისხო პროდუქცია. სასადილოების № 3 ტრესტის რაისამზარეულო (გამგე ამხ. დ- ჭანიშვილი) არღვევს სასკოლო ბუფეტებისათვის დამტკიცებულ ასორტიმენტს და ბუფეტებში გასაყიდად შეაქვს, კამფეტები, ნუგა, ლიმონათი.

გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეებს არ ეძლევა ბოსტნეულის სალათები, გახეხილი სტაფილოსა და ჭარხლის პიურე, იშვიათად ამზადებენ ბოსტნეულის სუფებს, აგრეთვე ხორცისა

და თეფზის მეორე თავ ცხელ კერძებს გარნირით, სასადილოების მესამე ტრესტის სასკოლო კვების კომბინატი (გამგე ვ. ყალაძე), რომელსაც ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ მოამზადოს თერმოსებით შეზიდოს სკოლის ბუფეტებში პირველი, მეორე თავი ცხელი კერძები, მხოლოდ ბუფეტისათვის დაწესებულ ასორტიმენტით ამარაგებს, რის გამოც დაუტვირთავად მუშაობს აღნიშნული კომბინატი, აგრეთვე № 66 სასადილო არ ამარაგებს სკოლის ბუფეტებსა და სასადილოებს ბლინებით, რომელთა გამოშვებისათვის გააჩნიათ საჭირო მოწყობილობა;

დიდი წყვეტილობით მარაგდებიან სასკოლო კვების საწარმოები ხილითა და წვენებით;

მოსწავლეთა დიდი ნაწილი კვლავ აბონემენტების გარეშე, ფულის გადახდით იკვებება; არ არის შემოღებული უგამყიდველო ბუფეტები, ნაკლები ყურადღება ექცევა მცირეწლოვან მოსწავლეთა საკლასო ოთახებში მომსახურებას, აგრეთვე პედაგოგიური პერსონალის, მშობელთა კომიტეტის წევრებისა და უფროსკლასელთა მორიგეობას, არსად არ არის გამოკრული მორიგეობის ცხრილები. აგრეთვე სკოლის დირექტორების მიერ დამტკიცებული ექვსდღიური მენიუები.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ზემდგომი ორაგნოების დადგენილების შესრულებას სასკოლო კვებისათვის წვრილად დაფასოებული პროდუქტებით მომარაგების შესახებ (მაწონი 200 გრ. ქილებში, ყველი და ხაჭო 50 გრ. დაფასოებული).

ამავე დადგენილებით უნდა აშენდეს 14 სასკოლო კვების კომბინატი, მათ შორის 4 თბილისში. მიმდინარე წელს მშენებლობა მხოლოდ თბილისში და ბათუმში დაიწყო, დანარჩენი კომბინატების მშენებლობის დაფინანსება გადატანილია მომავალი წლებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ვაჭრობის განყოფილებამ, თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტებისა და ქუთაისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოებმა, რუსთავისა და ზუგდიდის აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებებმა, საზოგადოებრივი კვების ტრეს-

ტებმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები შემოწმებით გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და სასკოლო კვების მდგომარეობის ძირეულად გაუმჯობესებლად.

ამ მიზნით 1969 წლის 15 ნოემბრამდე შეავსონ სასკოლო ბუფეტები და სასადილოები საჭირო რაოდენობის ჭურჭლითა და ინვენტარით;

— უზრუნველყონ ბოსტნეულის საუზმეულის, აგრეთვე პირველი და მეორე თავი ხორცის, თევზის, ბურღულ-მაკარონის, ბოსტნეულის, ფქვილის, რძის ნაწარმისა და სხვა კერძების რაისამზარეულოებში მომზადება და მათი თერმოსებით სასკოლო კვების საწარმოებში შეზიდვა იმ ვარაუდით, რომ მოსწავლეებმა მიიღონ ცხელი სადილები;

— სისტემატურად აწარმოონ სკოლის ბუფეტებსა და სასადილოებში პროდუქტების შეზიდვა იმ რაოდენობით, რომ მთლიანად დააკმაყოფილონ როგორც პირველი, ასევე მეორე ცვლის მოსწავლეთა მოთხოვნილება;

— გააძლიერონ კონტროლი გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი და მკაცრად დასაჯონ დამნაშავე პირები უხარისხო კერძების გამოშვებისათვის;

— სასკოლო კვების საწარმოებში არ დაუშვან გასაყიდად ისეთი პროდუქტები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ასორტიმენტით;

— მიმდინარე 1969 წლის დამლევამდე სკოლის დირექტორებთან ერთად უზრუნველყონ ბუფეტების შევსება სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარებით, აგრეთვე გამდინარე ცხელი წყლით; მოსწავლეთა კვება ძირითადად აწარმოონ აბონემენტებით, ხოლო უმცროს კლასელთა კვება—საკლასო ოთახებში;

— განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხი დიდ სკოლებში, სადაც ხდება მოსწავლეთა ცხელი კერძებით მომსახურება, მეორე მებუფეტის შტატის დამატების შესახებ;

— მიმდინარე წლის დეკემბერში განათლების ორგანოებთან ერთად ჩაატარონ სასკოლო კვების საწარმოთა და რაისამზარეულოების დათვალიერება-კონკურსი მოწინავე სკოლის ბუფეტის, სასადილოს, რაისამზარეულოს კოლექტივის გამოსავლინებლად და მათი მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით.

2. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ა. ჩიგოგიძე) გაითვალისწინოს სასკოლო კვების კომბინატების მშენებლობები ქ. ქ. თბილისში, სოხუმში, ქუთაისსა და ცხინვალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ დროში.

3. ქ. თბილისის საზოგადოებრივი ტრესტების სამმართველოს უფროსმა ამხ. ი. ბოკერიამ:

— დასაჯოს თბილისის № 1 და № 2 სასადილოების ტრესტების № 66 სასადილოსა და სასკოლო კვების კომბინატის გამგეები ამხ. ხუროშვილი და მჟავანაძე, რომლებმაც დაუშვეს სკოლის ბუფეტებისათვის უხარისხო პროდუქციის გამოშვება;

— შეისწავლოს საკითხი და 1969 წლის 20 ნოემბრამდე გადაანაწილოს სასადილოების № 3 ტრესტის რაისამზარეულოთა შორის სკოლის ბუფეტები იმგვარად, რომ რაისამზარეულოებმა თანაბარი დატვირთვით იმუშაონ.

— დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სასადილოების № 1 და № 3 ტრესტების საწარმოებში არსებული ბლინების ავტომატების მთელი სიმძლავრით მუშაობა;

— დააყენოს საკითხი ქალაქის ალმასკომის წინაშე და ა/წ. დამლევამდე გადაადგილოს შესაფერის სადგომში პირველი ტრესტის რაისამზარეულო;

— დაავალოს სამმართველოს სანიტარულ-კვებით ლაბორატორიას გააძლიეროს კონტროლი რაისამზარეულოების მიერ სასკოლო კვებისათვის გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი.

4. საქვაჭრობმომარაგებამ (ამხ. კ. ბეჭვაია) უზრუნველყოს სასკოლო კვების ობიექტები საჭირო რაოდენობის ჭურჭლითა და ინვენტარით.

5. საქვაჭრობმონტაჟმა (ამხ. ზ. თინიკაშვილი):

— დაავალოს დაქვემდებარებულ საწარმოებს ერთი თვის ვადაში შეამოწმონ სკოლის ბუფეტებისა და სასადილოების სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობის მდგომარეობა, აღადგინონ უმოქმედო დანადგარები და მომავალში სისტემატური კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე;

— მ. წლის დამლევამდე უზრუნველყოს სკოლის ბუფეტებისათვის ჭურჭლის სარეცხად ვარგისი ცხელი წყლის ხელსაწყოების მასობრივად გამოშვება.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

— გადასინჯონ და იქ, სადაც შესაძლებლობაა, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე გადააადგილონ სასკოლო ბუფეტები უფრო ფართო და კეთილმოწყობილ სათავსოებში; მოსწავლეთა კვებით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გამოიყენონ სააქტო დარბაზები;

— დაუკავშირდნენ საშეფო ორგანიზაციებსა და საწარმოებს, მათთან ერთად განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები: სკოლის შენობებზე სასადილოების ან ბუფეტებისათვის სადგომების მიშენების, აგრეთვე სავაჭრო ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობათა შეძენის, ცხელი წყალგაყვანილობით უზრუნველყოფის, სასკოლო კვების საწარმოთა შეკეთებისა და სხვათა შესახებ.

— დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ის სადგომები, რომლებიც მშენებლობის პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო სასკოლო კვებისათვის და ამჟამად არ არის გამოყენებული პირდაპირი დანიშნულებით;

— დაავალონ სკოლის დირექტორებს, სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყონ უმცროს კლასელთა კვებით მომსახურება საკლასო ოთახებში—მერხებზე; მათი მომსახურება მოაწყონ მშობელთა კომიტეტების წევრების, აგრეთვე უფროს კლასელთა მეშვეობით;

მოსწავლეთა კვება ძირითადად აწარმოონ აბონემენტებით; ფულის შეგროვება და აბონემენტების შეძენა დააკისრონ კლასის ხელმძღვანელებს, აგრეთვე მშობელთა კომიტეტებს;

უზრუნველყონ პედაგოგიური საბჭოს, მშობელთა კომიტეტების წევრებისა და უფროსკლასელთა მორიგეობა ბუფეტში ან სასადილოში, მორიგეობის სიების გამოკვრით;

მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ სასკოლო კვების მუშაკებს მოსწავლეთა კვების გასაუმჯობესებლად და შესაძლებლობის მიხედვით მებუფეტეებს დაახმარონ სკოლის ტექნიკური პერსონალი;

7. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე განათლების ორგანოებისათვის სკოლის შენობებზე სასადილოებისა და ბუფეტების მისაშენებლად დამატებითი თანხებისა და საამშენებლო მასალების გამოყოფის შესახებ.

8. აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე სკოლების მშენებლობის ტიპიური პროექტების გადასასინჯად იმ ვარაუდით, რომ უახლოეს 3—4 წელიწადში სასკოლო კვების ობიექტებში დასაჯდომი ადგილები მაქსიმალურად მიუახლოვდეს

ნორმატივით დადგენილს (1000 მოსწავლეზე 250 დასაჯდომი ადგილი).

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალოს საქ. სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სასკოლო კვების ობიექტების ნორმალურად მომარაგებისათვის გამოყოს ტექნიკურად გამართული მანქანები და ზუსტად დაიცვას მანქანების მისვლის გრაფიკები.

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად უახლოეს ხანში უზრუნველყოს 200 გრამიან ქილებში მაწვნის, 50—100 გრამებად დაფასოებული ყველისა და ხაჭოს, მოსკოვური კატლეტის, აგრეთვე დოზირებული სოსისის გამოშვება ქალაქებში—თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი, გორი და ჭიათურა, იმ ოდენობით, რომ ყოველდღიურად დააკმაყოფილოს სასკოლო კვების მოთხოვნილება აღნიშნულ პროდუქტებზე.

11. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზკვების სამმართველოს უფროსს ამხ. ი. წინამძღვრიშვილს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო სამმართველოს უფროსს ამხ. ა. კ. ჩხიკვაძეს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის
მინისტრის მოადგილე
მ. შიხაშვილი

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უშ. თბოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 5 იანვრის ბრძანება № 1

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების განვითარების გეგმის შესახებ 1970 წლისათვის

1. ეცნობოს ასსრ განათლების სამინისტროებს, საოლქო, საქალაქო და რაიონის განათლების განყოფილებებს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა 1970 წლისთავის საქართველოს სსრ სახალხო განათლების განვითარების მაჩვენებლები თანახმად № 1 დანართისა:

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე), სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე), საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე), სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი):

ა) დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და განათლების სამინისტროს სხვა საბავშვო დაწესებულებების 1970 წლის განვითარების საგეგმო დავალებათა მტკიცედ შესრულებისათვის;

ბ) ღონისძიებათა დასახვისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

— საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარების უზრუნველყოფას;

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის მოწესრიგებას; ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით, მცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკომპლექტიანი სკოლების შეერთება-დამსხვილებისათვის ღონისძიებების გატარებას, ამ სკოლების მოსწავლეების სასკოლო ინტერნატებში მოწყობის, ბინებით, სათბობით, განათებით და საჭირო მოწყობილობით უზრუნველყოფას. სასკოლო ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია უნდა მოეწყოს მშობელთა სახსრებით, საყოველთაო სწავლების ფონდის და სხვა საზოგადოებრივ-კოოპერატიულ საშუალებათა გამოყენებით.

— სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დონის ამაღლებას, მეორეწლიანობისა და მოსწავლეთა განთესვის მაქსიმალურად შემცირებას;

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეორე ცვლაში მეცადინეობის შემცირებასა და მესამე ცვლაში მეცადინეობის ლიკვიდაციას;

— სკოლა-ინტერნატებში, სასკოლო ინტერნატებსა და გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმების შესრულებას,

— საშუალო განათლების გაფართოებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 კლასებში მოსწავლეთა მიღების გეგმის შესრულებას და ამასთან ერთად ამ კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დამუშავდეს ღონისძიებები 1970 წელს პროფტექნიკურ და აგრეთვე საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში რვაკლასდამთავრებულთა გასაგზავნად;

— სკოლების, სასკოლო ინტერნატების, სკოლამდელი დაწესებულებების და მასწავლებელთა სახლების მშენებლობის გეგმების აუცილებლად შესრულებას, რომ 1970 წლის პირველ სექტემბრისათვის სასკოლო შენობები და სასკოლო ინტერნატები გადაცემული იქნეს საექსპლოატაციოდ;

ბ) უზრუნველყოფილი იქნას მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში და აგრეთვე დაუსწრებელ სკოლებში იმ ახალგაზრდობის ჩაბმა, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში და არა აქვთ სათანადო განათლება;

გ) მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილების გათვალისწინებით, გაიშალოს შემდგომი მუშაობა სკოლამდელი დაწესებულებების (საბავშვო ბაღები, ბაგა-ბაღები) ქსელის გაფართოებისათვის;

დ) მიღებულ იქნას საჭირო ზომები გახანგრძლივებული დღის ჯგუფების დამტკიცებული გეგმის მიხედვით დაკომპლექტებისათვის და მათი დატვირთვის (30—40 კაცი) უზრუნველყოფისათვის;

ვ) მიღებულ იქნას საჭირო ზომები, დამტკიცებული გეგმის შესაბამისად მოსწავლეებით სკოლა-ინტერნატების დაკომპლექტებისათვის;

თ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, დადგენილი დატვირთვის ნორმის გათვალისწინებით, კლასების დაკომპლექტების საქმეს და, სადაც ეს შესაძლებელი იქნება,—პარალელური კლასების გაერთიანებას.

3. კადრების განყოფილებამ (ამხ. ირ. კვაჭაძე) საჭირო ღონისძიება გაატაროს სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის ადგილების სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლებით და აღმზრდელებით უზრუნველყოფის საქმეს.

4. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) განაგრძოს მუშაობა სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის მოსაწესრიგებლად, საბავშვო ბაღების ჯგუფების სწორად დაკომპლექტებისათვის და საალმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. აკ. ჩხიკვაძე):

ა) შეისწავლოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ცალკეულ კლასებში მოსწავლეთა მოსწრების, დაბალი დონისა და მეორეწლიანობის მიზეზები და დასახოს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) განახორციელოს კონტროლი 1970—1971 წლის სასწავლო წლისათვის სკოლების მზადყოფნაზე, მოსამზადებელ, პირველ და მეცხრე კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვის მიმდინარეობაზე, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების დაკომპლექტების ორგანიზაციაზე.

6. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ მტკიცე კონტროლი დააწესოს სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების და განათლების სამინისტროს სხვა ობიექტების 1970 წლის მშენებლობის გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე და უზრუნველყოს დამტკიცებული ვადების მიხედვით ექსპლოატაციაში მათი გადაცემა,

7. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) უზრუნველყოს ახლად გახსნილი სასწავლო კაბინეტების მოსაწყობად და არსებულის შესავსებად საჭირო სასწავლო-სათვალსაჩინო ხელსაწყო-მოწყობილობის შემოტანა;

ბ) დამტკიცებული ასიგნებების მიხედვით უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები, სასკოლო ინტერნატები და სკოლამდელი დაწესებულებები რბილი და მაგარი ინვენტარით;

8. საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მომახსენოს 1970 წლის პირველ ნოემბრისათვის,

**საფუძველი:** განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 30 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ф. 19/18

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 734—1968—1969 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელი და საშუალო განათლების ატესტატების მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ . . . 3
2. დადგენილება—1969—1970 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გამართული სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ . .13
3. ბრძანება № 760—რესპუბლიკაში ტურიზმისა და ექსკურსიების შემდგომი განვითარების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილების განხორციელების შესახებ . . . . . . . . . . .1
4. ბრძანება № 730—ახმეტის, ლაგოდეხის და ყვარლის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონატის, მეურვეობისა და მზრუნველობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . .28
5. ბრძანება № 692—აბაშის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა—მოზარდთა სასპორტო სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . .32
6. Приказ № 691—О состоянии физического воспитания и спортивно-массовой работы в общеобразовательных и детско-юношеской спортивной школах марнеульского района . . . . . . 37
7. ბრძანება № 731—ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . .43
8. დადგენილება—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დაარსების 40 წლისთავის აღნიშვნის შესახებ . . . . . . . 49
9. ბრძანება № 5-5—ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების საქმეში სკოლების ხელმძღვანელობისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ . . 33
10. ბრძანება № 192—618—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვებითი მომსახურების შემოწმების შედეგებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . 57
11. ბრძანება № 1—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების განვითარების გეგმის შესახებ 1970 წლისათვის . . . . 64